40
990

ISSN 0132 - 6007



# ნაკადული

5
1990



26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე 26 მაისი

მიხეილ მათველაშვილის სლაიდი

## ძახილი წარსულიდან

ცა გადაიხსნა. ვდგავარ, ველი და
შორით წინაპრის ძახილი მესმის:
„ღმერთმა დალოცოს ეს მთა-ველი და
ქართველი კაცის გენი და ფესვი!“
მძიმე სვე-ბედი გვერგო ქართველებს —
შვილებს ხალიბის, მამაც თუბალის
და თუმცა მტრებმა ბევრჯერ გაგვქელეს,
ვრჩებოდით მაინც თავისუფალი!

მშვიდობა თქვენთა მთათა და მდელოთ!
ბედი არჩევანს ისევ გთავაზობთ!
გამარჯვებათა ალმართით გევლოთ,
გედავითოთ და გეფარნავაზოთ!
შთამომავალნო! ჩვენ ახლაც ვომობთ,
დღესაც თქვენთან ვართ, არ ხართ მარტონი!
ქართულო ვეფხვო, ქართულო ლომო,
საკუთარ მიწის იყავ პატრონი!

ნუგზარ აფხაზავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფესიონალიზმი — უპირველეს ყოვლისა



რისმაგ გორდეზიანი

ამჯერად ჟურნალ „ნაკადულის“ სტუმარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი რისმაგ გორდეზიანი.

**— ბატონო რისმაგ, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მოქალაქის, ჭეშმარიტი სპეციალისტის აღზრდა ოჯახიდან და სკოლიდან იწყება. დღევანდელი ოჯახიც და სკოლაც მკვეთრად განსხვავდებიან გასული საუკუნის და, თუნდაც, ორმოც-ორმოცდაათიანი წლების ოჯახისა და სკოლისაგან. როგორ შეაფასებდით ამ ვითარებას?**

— ვფიქრობ, ეს განსხვავება ზოგჯერ ჩვენი დროის სასარგებლოდ, ზოგჯერ კი — მის საწინააღმდეგოდაც მეტყველებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სულ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად ამაღლდა ოჯახისა და სკოლის ეროვნული თვითშეგნება, ლტოლვა მოზარდი თაობის მაღალი პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდისაკენ, რაც ჩვენში დაწყებული დიდი ეროვნული მოძრაობის პირდაპირი შედეგია. დღეს ახალგაზრდა აღარ იზრდება ისე დოგმატურად, როგორც ეს არცთუ შორეულ წარსულში ხდებოდა. იგი ოჯახშიც და სკოლაშიც რეალურ ინფორმაციას იღებს იმის შესახებ, თუ რა ხდება მსოფლიოში, როგორი მძიმე მდგომარეობაა ახლა ჩვენთან. ყოველივე ეს ხელს უწყობს თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდას, რაც ყოველი ერის კეთილდღეობისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა.

**— ასეთი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები დღეს, ალბათ, ყველაზე უფრო მეტად საქართველოს სჭირდება.**

— რა თქმა უნდა, და უფრო მეტადაც, ვიდრე ოდესმე.... ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თანამედროვე ოჯახი არცთუ იშვიათად გაუმართლებელი ფუფუნების ატმოსფეროში ზრდის მომავალ თაობას. ეს იწვევს ახალგაზრდის სულიერი სამყაროს გაღარიბებას და მის ორიენტაციას ძირითადად ნივთებისა და მომხვეჭელობისაკენ. ასეთი ადამიანი კი თავიდანვე შრომის უგულებელყოფას ეჩვევა, ხოლო მაღალი იდეალები მისთვის მხოლოდ ცარიელი დეკლარაციაა. სწორედ ამიტომაა, რომ ბევრ ახალგაზრდას, რომელიც ასე ხალისით ღებულობს მონაწილეობას პატრიოტულ მიტინგებში, შემდეგ ესოდენ ადვილად შეუძლია გაიმეტოს მოსაკლავად თანამოძმე და თანატოლი. როგორც ჩანს, ამ მხრივ ბევრად სცოდავს თანამედროვე სკოლაც. დოგმატიკისაგან განთავისუფლება როდი ნიშნავს მორალური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებასაც. უარის თქმა პოლიტიზაციაზე არ უნდა იქცეს მაღალ მოქალაქეობრიობასა და ჭეშმარიტი ცოდნის მიღებაზე უარად.

**— თქვენ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებშიც კითხულობთ ლექციებს და უთუოდ კარგად იცნობთ იქაურ სპეციალისტებსაც და განათლების სისტემასაც. ალბათ ურიგო არ იქნება, თუ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ჩვენს სკოლებსა და ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებში დავნერგავთ და გამოვიყენებთ...**

— რასაკვირველია, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის განათლების სისტემაში საკმაოდ საინტერესო ფორმებია. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი უბრალოდ გადმოღება არ არის გამართლებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. ობიექტურად მე მივიჩნევ იმას, რომ ზოგი რაიმეს გაკეთება ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია, მაგალითად, არ შეგვიძლია ჩვენი სკოლების ისე აღჭურვა ტექნიკურად, ისეთი მდიდარი სასკოლო ბიბლიოთეკების შექმნა, ისეთი მშვენიერი სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა და ა. შ., როგორიც ეს მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაშია. მაგრამ, ამასთანავე, არცაა სასურველი, მექანიკურად გადმოვიღოთ ყოველივე ის, რაც ასე კარგად ფუნქციონირებს საზღვარგარეთის განათლების სისტემაში. ჩვენ განათლების საკუთარი კონცეფცია უნდა შევქმნათ, რომელიც მაღალი კულტურისა

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
№ 5 მაისი 1990



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

და ფართო ჰორიზონტის მქონე მოქალაქის, მომავალი, თავისუფალი საქართველოს მოქალაქის აღზრდისაკენ იქნება მიმართული. აქედან გამომდინარე, განათლების სხვა სისტემებიდან ჩვენ უაღრესად ფრთხილად და შემოქმედებითად უნდა გადმოვიღოთ მხოლოდ ის, რაც ჩვენი კონცეფციის შესაფერისი იქნება.

**— ახლა ჩვენს ქვეყანაში — მთელ საბჭოთა კავშირში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც — ძირეული, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ცვლილებები ხდება. ჩვენ, უპირველესად, ჩვენი ხალხის, ჩვენი მიწაწყლის პრობლემები გვაინტერესებს. როგორ უყურებთ მიმდინარე ცვლილებებს და რას უნდა მოველოდეთ უახლოეს მომავალში?**

— არ შეიძლება, მიმდინარე ცვლილებებს დიდი იმედითა და კმაყოფილებით არ უყურებდე, რადგან აშკარაა ტოტალიტარიზმის ნგრევა და დემოკრატიზაციისაკენ ლტოლვა. ასევე, პირველად მრავალი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს წინაშე დადგა თავისუფლების რეალურად მოპოვების შესაძლებლობა. და, მიუხედავად ამისა, პასუხი იმაზე, თუ რას უნდა მოველოდეთ მომავალში, არც ისე ადვილი საქმეა. მოვლენების მომავალ განვითარებას განსაზღვრავს არა მხოლოდ ის, თუ რაოდენ დიდია ჩვენში სწრაფვა თავისუფლებისაკენ, არამედ ისიც, თუ რამდენად გონივრულსა და სწორ გზას ავირჩევთ მის მოსაპოვებლად. პირადად მე მინდა, რომ საქმის კეთილი დაგვირგვინებისა მჯეროდეს.

**— ბატონო რისმაგ, თქვენ საქართველოს კომკავშირის ცკ-ის ბიუროს წევრი ბრძანდებოდით, პარტიულ სამუშაოზეც ყოფილხართ... ჩვენი გამოღვიძებული ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი მონაწილის აზრით, ყოველივე იმაზე, რაც წარსულში იყო, უარი უნდა ვთქვათ. თითქმის ნიჰილიზმამდე მივდივართ... ვითომ არც პარტიას, არც კომკავშირს კარგი არაფერი გაუკეთებია? თუ დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, თუ დღეს ამდენი ასოციაცია, კავშირი, პარტია არსებობს, რატომ უნდა წავართვათ არსებობის უფლება, ვთქვათ, კომკავშირს?**

— პასუხი ამ კითხვაზე ამგვარი შედარებით მინდა დავიწყო. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიღაც საზოგადოებამ გადაწყვიტა, აგოს თავისთვის შენობა, რომელსაც მსოფლიოში თავისი სიმშვენიერითა და გრანდიოზულობით ვერაფერი შეედრება და რომელშიც ადამიანები იცხოვრებენ თავისუფლად, კარგად და კეთილმეზობლურად. ამისათვის შენობის აგების ინიციატორებმა წარმოადგინეს პროექტი და დაარწმუნეს ხალხი მის სისწორეში. მართალია, მათ ბევრი ოპონენტიც გამოუჩნდათ, მაგრამ ისინი, როგორც დიადი მიზნის ხელისშემშლელნი, თავიდან მოიშორეს. დაიწყო მშენებლობა, რომელშიც მთელი საზოგადოება ჩაერთო. ხალხი მუშაობდა თავდადებით, გვიჩვენებდა რომანტიკული გატაცებისა და გმირობის უამრავ მაგალითს, იგერიებდა ყველა მტერს, რომელიც ხელს უშლიდა ამ შენობის აგებაში, მორჩილად მიჰყვებოდა თავის თავკაცებს... გავიდა დრო. გამოირკვა, რომ ჯერ ერთი, შენობა სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა საპყრობილეს და, მეორეც, პროექტში თავიდანვე არსებული უხეში შეცდომების გამო მისი აგება სავსებით შეუძლებელი აღმოჩნდა. როდესაც საზოგადოებამ ეს გააცნობიერა, მან პასუხი პირველ რიგში თავის თავკაცებს მოსთხოვა, თუმცა ბოლოს სწორედ ამ თავკაცებმა აღიარეს თავდაპირველად დაშვებული შეცდომა.

ამ სიტუაციას ძალზე ჰგავს ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობა. არავინ უარყოფს, რომ ყველა ჩვენგანი ხელებდაკაპიწებული ვიღვწოდით მის ასაგებად, ვიძლეოდით კეთილსინდისიერი შრომის მაგალითებს, გვქონდა საკუთარ სფეროებში დიდი წარმატებებიც, მაგრამ ვერცერთი ჩვენგანი, მაშინაც კი, როდესაც მივხვდით ამ მშენებლობის მიზანშეუწონლობას, ვერ ბედავდა ამის საჯაროდ თქმას. უფრო მეტიც, ყველა ოპონენტს ხალხის მტრებად ვაცხადებდით, თუმცა გულში მათ სიმართლეს ვაღიარებდით. საქმე ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ვაქებდით და ტაშს ვუკრავდით სახელმწიფოს სათავეში ჩვენი სისტემის წყალობით მოხვედრილ ისეთ ადამიანებს, რომელთაც არც თავისი გონებრივი შესაძლებლობებით და, უბრალოდ, არც ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლოთ, ემართათ ქვეყანა.

ეკისრება თუ არა ამაზე პასუხისმგებლობა პირველ რიგში პარტიასა და კომკავშირს? რასაკვირველია, ეკისრება. და, მიუხედავად იმისა, გაკეთდა თუ არა ობიექტურად კომკავშირის მიერ რაღაც კარგი ამა თუ იმ უბანზე, საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, მას ბრალი მიუძღვის საერთოდ ჩვენი ახალგაზრდობის მცდარ ორიენტაციაში. ის, უნდა იარსებოს თუ არა მომავალში კომკავშირულმა ორგანიზაციამ, თავად ახალგაზრდებმა უნდა გადაწყვიტონ. თუ კომკავშირული ორგანიზაცია ძლიერია, იგი შეძლებს ნებისმიერ ოპონენტთა წინაშე თავისი პოზიციების დაცვას, ხოლო თუკი ვერ შეძლებს, მაშინ მას ასპარეზიდან წასვლა მოუწევს.

**— დავუბრუნდეთ ისევ სკოლასა და სპეციალისტს. როგორად გესახებათ ხვალინდელი სკოლა? როგორი სპეციალისტები სჭირდება დამოუკიდებელ საქართველოს? თქვენ მრავალი წიგნის, გამოკვლევის ავტორი ბრძანდებით, ამას, რა თქმა უნდა, დიდი შრომა და ენერგია დასჭირდებოდა. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, რას ურჩევდით დღევანდელ მოსწავლეს, სტუდენტს, ახალგაზრდა სპეციალისტს?**

— ეს კითხვა საკმაოდ მრავლისმომცველია და მასზე დეტალური პასუხი დიდ ადგილს დაიჭერდა. ამიტომ თავს ნებას მივცემ მოკლედ გიპასუხოთ: ვუსურვებდი ყველას, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას, მის მიერ არჩეულ სამოღვაწეო სფეროში უმაღლესი პროფესიონალიზმისათვის მიეღწიოს, იმ პროფესიონალიზმისათვის, რაც დღეს ასე აკლია საქართველოს და რაც მისი ხვალინდელი დამოუკიდებლობისათვის ესოდენ აუცილებელი იქნება.

**ესაუბრა ნ. მარიხია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვანე

# სიცოცხლის ფერია




**მანანა გელაშვილი**

ზვავებმა რომ დაიტანეს ჩვენი მთის სოფლები, მოვარდნილმა მდინარეებმა რომ წაგვილეკეს სახლ-კარი, სუნთქვა რომ გაგვიჭირდა, საჭმლის ჭამისა და ზღვაში ბანაობის შიში რომ დაგვეუფლა, მაშინღა შევდექით და დავფიქრდით; ამასობაში მსოფლიოს მეცნიერებმაც დაგვაწიეს თავიანთი საგანგაშო დასკვნა — თუ ბუნებაზე ეკოლოგიური აგრესია ასეთივე ტემპით გაგრძელდება, 50 წელიწადში ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე შეწყდებაო და, როგორც იქნა, გონს მოვედით, მივხვდით, რომ ჩვენს მიერვე დათესილს ვიმკით. მივხვდით და ავწრიალდით, ერთმანეთს შევუძახეთ, არიქა, ვიღუპებითო, გავიხსენეთ, მწვანე რომ სიცოცხლის ფერია და ბუნებასთან შერიგება იმით დავიწყეთ, რომ „გავმწვანდით" — დიახ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეიქმნა და იქმნება „მწვანეთა" პარტიები, კავშირები, საზოგადოებები, რაზმები, ორგანიზაციები. საქართველოს მიწაზეც აჭიატდა იმედის მომცემი მწვანე წერტილები — ბუნების ქომაგთა სადროშოები, რომლებიც მალე ერთ ძლიერ ლაშქრად შეიკვრებიან და უთუოდ გადაარჩენენ დედაბუნებას. ხოლო ერთ-ერთი ყველაზე საიმედო იმ სადროშოთაგან ალბათ უმრწემესიც იქნება.

ბუნების გადარჩენისთვის წამოწყებული ლაშქრობა ის ბრძოლაა, რომელშიც მამები თავადვე ამოიყენებენ გვერდით შვილებს, ნებისმიერ ოპერაციასაც გულდამშვიდებით მიანდობენ და საკუთარი შეხედულების მიხედვით მოქმედების თავისუფლებასაც მიანიჭებენ. ანდა როგორ არ ეიმედებოდეთ უმცროს „მწვანეთა" გუნდებისა, თუნდაც „ვაზისისა", „სხივისა", „ვარძიისა", „შევარდნისა", „მერცხლისა", „ჰორიზონტისა", „დიდუბისა", „ჯვარი ვაზისასი", რომელთაც უკვე მოჰკიდეს ხელი თავიანთი სამოქმედო პროგრამის განხორციელებას — ხეივნების, ტყეპარკების გაშენებასა და მოვლა-პატრონობას, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების გაბინძურებისაგან დაცვას, ქალაქებსა და სოფლებში სისუფთავისა და წესრიგის დამყარებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას.

მოდით, გავიხსენოთ თუნდაც კლუბ „ვაზისის" მიერ წარმატებით განხორციელებული რამდენიმე „საბრძოლო ოპერაცია", რომლებიც გოგო-ბიჭების შეუპოვრობასა და საზრიანობაზე მეტყველებენ.

„ვაზისი", რომელიც ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონში შეიქმნა, გახლდათ „მწვანეთა" პირველი კლუბი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და სწორედ თავისი უბნის მოვლა-პატრონობით დაიწყო მან მოღვაწეობა. უფროსებისაგან გაეგოთ ბავშვებს, რომ აქაურობა და მახათას მთა უწინ ქალაქელთა დასასვენებელი და სულისმოსათქმელი ადგილი ყოფილა.



შავნაბადას მიდამოებს მოდებულ ნაგავში ბიჭუნები სამხედროების დაუდევრობის შედეგსაც გადააწყდნენ



იქნებ მდინარე ვაზისი გაცოცხლდეს და მაშინ კოლბაში სინჯისთვის აღებული მისი წყალიც კამკამა იქნება

გაუგიათ, მაგრამ მხრჩოლავი და ლპობამორეული ნაგვის გორების შემხედვარეთ არ ეჯერებოდათ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ აქეთკენ საყოფაცხოვრებო თუ სამშენებლო და სამრეწველო ნაგვით სავსე მანქანები, განსაკუთრებით ბენზინის გაძვირების შემდეგ მოუხშირეს მახათასკენ სიარულს (შორს წასვლა ხელს არ აძლევდათ) და აქაურობამ საბოლოოდ მიიღო უზარმაზარი სანაგვის სახე. ბავშვებმა ჯერ საპროტესტო და ამკრძალავი პლაკატები და ფარები დაახვედრეს მძღოლებს. გაგიგონიათ?! ვინ მიაქცია ყურადღება! მერე პიკეტები მოაწყვეს — თქვენც არ მომიკვდეთ! მერე ფოტოაპარატებით შეიარაღებულნი ჩაუსაფრდნენ — აჩხაკუნეთ და იყავითო,— შემოუთვალეს. არ შედრკა „ვაზისი“, უკან არ დაიხია — ადგნენ და 40 წუთიანი მამხილებელი კინოფილმი შექმნეს გოგობიჭებმა. მერე ჩამოატარეს და ყველა საზაფხულო დასასვენებელ ბანაკშიც უჩვენეს იგი, მოსწავლეთა სასახლეშიც, ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზეც გამოიტანეს ფირზე აღბეჭდილი უმსგავსოება, მერე ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციის დახმარებით ტელემაყურებლებსაც გააცნეს თავიანთი ნამუშევარი. იმავდროულად ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტსაც მიაწვდინეს განგაშის ზარი, ბუნების დაცვის ორგანოებსაც, მწერალთა კავშირსაც მისწერეს და, როგორც იქნა, წაუხდინეს უდარდელ ადამიანებს ბუნების ხელყოფის ხალისი...

ახლა აქაურობა სუფთავდება, მუშავდება ნიადაგი და იმედია, მალე კვლავ ბაღნარად იქცევა ეს ადგილი.

შავი ზღვის გადარჩენისათვის ბრძოლაშიც ჩაერთვნენ უმცროსი „მწვანეები“. მეცნიერ-სპეციალისტების შავი ზღვის ბედთან დაკავშირებულმა საგანგაშო პროგნოზმა, თუ დროზე არ ვუშველეთ, 15 წელიწადში მოკვდებაო, კიდევ ერთი მამხილებელი ფილმის შექმნა აფიქრებინათ. ფეხით დაიარეს ზღვის სანაპირო ბათუმიდან ქობულეთამდე, ფოთშიც იყვნენ, ყველა დაბინძურებული ადგილი ნახეს და გადაიღეს. ამჟამად ფილმი „შავი ზღვის ყოფნა-არყოფნა“ დამონტაჟების პროცესშია და ალბათ მისი სახით ბუნების ნორჩი ქომაგნი გარკვეულ წვლილს შეიტანენ შავი ზღვის გადარჩენის მკვდარი წერტილიდან დაძრულ საქმეში. კიდევ ერთი ფილმი, ამჯერად მხატვრული, გადაიღო „მწვანეთა კავშირის“ კინოჯგუფმა. ზაალ ციხიშვილის, ალეკო მუსისის, იური პერედუნოვის, ინა ბაიდაურის, სერგო ექიზაშვილის მწვავე სიუჟეტიან ნამუშევარში, რომელსაც „ჯოჯრა“ ჰქვია, სატირულ სტილში [illegible] გაშუქებული ნიადაგში ქიმიური სასუქების შეტანის პრობლემა.

საქართველოს მოზარდთა გაერთიანება „მწვანეთა კავშირის“ წევრთა



ვინ იცის, მომავალში კიდევ რამდენ წყაროსა თუ წყალსაცავს გადაარჩენენ დაბინძურებისაგან ბუნების ნორჩი ქომაგები

ფოტო იური ლუკაშვილისა

რაოდენობა დღითი დღე იზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო და უფრო გაიზრდება მათი წვლილი დიდ საერთო საქმეში, რომელიც ბუნებასთან შერიგებით უნდა დაგვირგვინდეს. ნორჩ „მწვანეებს“ სწამთ, რომ თუ ამ მიზნის მიღწევა გვწადია, ერთნაირად უნდა ვიზრუნოთ წვრილმანზეც და მსხვილმანზეც. ამიტომაც მოაქციეს ფოტობრალდების ობიექტივში „მწვანეთა კავშირის“ საქალაქო კლუბ „სხივის“ წევრებმა მზესუმზირის გამყიდველი დედაკაცები, ასე რომ მოედვნენ ამ ბოლო ხანებში ჩვენს დედაქალაქს; ამიტომ თხოვენ ვარკეთილ 3-ში მცხოვრები „მწვანეთა კავშირის“ წევრები თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მათთვის აწ გავერანებული იმ მიწის ნაკვეთის გადაცემას, სადაც ადრე ბაღ-ვენახები ყოფილა; ამიტომ ჩაყარეს „მწვანეებმა“ ქართულ მიწაში ათასობით ნერგი; ამიტომ მოუწოდებენ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა თანატოლს, „გამწვანდითო!...“

კი, ნამდვილად თვალშისაცემად მომრავლდა ჩვენში მწვანე ფერი. მოდიან და მოდიან სრულიად საქართველოს ლაშქარში „მწვანე“ გოგობიჭები. მხარში უდგებიან უკვე გამოცდილთ — გიორგი ლიბრაძეს, დავით კაკიაშვილს, გიორგი ხიმშიაშვილს, ზვიად ქავთარიას, ზურაბ ქვრივიშვილს, ლალი ციხიშვილს, ალა ლომსაძეს, სხვებსა და სხვებს. მრავლდება საქართველოს საბედნიეროდ და საიმედოდ „მწვანეთა“ ლაშქარი, ბრძოლაში ჩაბმამდე კი თითოეული მოლაშქრე მთაწმინდაზე ადის, კრძალვით უახლოვდება ვაჟას საფლავს და ხელით ეხება კლდის ნატეხს, მგოსანს რომ ადევს გულზე. ბუნების დიდი მესაიდუმლე ყურს მიუგდებს ყმაწვილის გულის ფეთქვას? თავისას შეუდარებს და რა დარწმუნდება, ბუნების სასიკეთოდ და გადასარჩენად უძგერს გულიო, ჩურჩულით გაანდობს იმ საიდუმლოს, ბალახისა და ყვავილის, ფრინველისა და ნადირის ენას რომ აზიარებს მას. ვაჟასგან დალოცვილთა ლაშქარს კი, აბა, რაღა დაუდგება ბუნების გადასარჩენ ბრძოლაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეტრეველი

## დილა ტაშისკართან

მზე იღვიძებს, აღმოსავლეთს დაჰფენია ალისფერი,
მტკვრის ნაპირზე ხეხილის ბაღს დარაჯობენ ალვისხენი!
ახალგაღვიძებულივით თვალებს იფშვნეტს ნუშის ტოტი,
ქარი, როგორც ბირდაბირი, ხეებს შორის მიდი-მოდის!

მიფრინავენ მტრედები და მწყემსი უხმობს თავის ბიჭებს,
ცაზე გოჯა ღრუბლის ფთილა მედიდურად დააბიჯებს!
ტაშისკართან ადრეულ მგზავრს მიაცილებს ბონდი
ფრთხილად,
თეთრი ჩოხა-ახალუხით პირმცინარე მოდის დილა!

## წყალი

ზღვად, ოკეანედ, მდინარედ, წყაროდ,
პატარა ღელედ
მოედინება და გამოსცემს სხვადასხვა ბგერებს!
გარეშე წყლისა არ არსებობს სიცოცხლე ხეთა,
ბალახთა, კაცთა... სხვათა და სხვათა!
თუკი არსებობს სამყარო დღემდე,
ეს იმიტომ, რომ წყალია შემწედ.
გარდა სიკეთის, წყალს ძალუძს კიდევ,
ბრაზმორეულმა კიდით კიდეს
მოსრას სიცოცხლის ძირი და ფესვი,
შესძრას მიდამო მოკვდავთა კვნესით!..
ზღვად, ოკეანედ, მდინარედ, წყაროდ,
პატარა ღელედ
მოედინება და გამოსცემს სხვადასხვა ბგერებს!

## ჩანახატი

ცა დაემსგავსა
დაგლეჯილ გოდორს,
ძირს ალაგ-ალაგ ჩანან ჩრდილები...
უკან მიდიან ღრუბლები,
როგორც
ხელმოცარული მონადირენი!..



# გასროლა ნაკრძალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დიმიტრი ლოგჟანიძე**

მხატვარი **თემურ ფხიკაძე**

**მოთხრობა**

მოულოდნელად მანქანის შორეული გუგუნი გაისმა. გზის ზედა მხარეს თხილის ხშირ ბუჩქებში მიმალულმა თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭმა ყურები ცქვიტა და იდაყვებზე წამოიწია. ერთხანს ასე გატრუნული იყო და სუნთქვაშეკრული უგდებდა ყურს ნიავის მოტანილ მანქანის ხმას, რომელიც სულ უფრო გარკვევით ისმოდა, რაც მოწმობდა, რომ აქეთ მოდიოდა.

„ეტყობა, საბარგო მანქანაა, — გაიფიქრა კვირიკემ. — ისე ღმუის, მძიმედაა დატვირთული, ალბათ საქორიას კლდესთან რომ აღმართია, იქ ამოდის უკვე. ძალიან კი უჭირს, აი, ლამის გასკდეს ძრავა“, — დაასკვნა გუნებაში და სამალავიდან გზაზე გასვლა გადაწყვიტა, რათა მანქანას წინ დახვედროდა, გაეჩერებინა და მძღოლისთვის სოფლამდე წაყვანა ეთხოვა.

დააპირა კიდეც ბუჩქებიდან გამოსვლა, მაგრამ იფიქრა, ვაითუ ჩვეულებრივი სატვირთო კი არ არის, სკოლა-ინტერნატის მანქანაა და შიგ სწორედ ისინი სხედან, ვინც მე მეძებსო, და განზრახვაზე ხელი აიღო. ათასი აზრი უტრიალებდა თავში. „შენ გგონია, რომ ვინმე დაგეძებს?“ აბა, ასე ვინ დამტოვებს?! ჩემს გამოქცევას რომ გაიგებდა, სკოლა-ინტერნატის დირექტორი მთელ ქალაქს ფეხზე დააყენებდა, ქვეყანას შეყრიდა, მიშველეთ, აღსაზრდელი დამეკარგაო. მე ხომ ვიცი, რა ფოციცაა. მთავარია, შინ მისვლამდე არ მომაგნონ, თორემ გზაში სადმე თუ წამომეწივნენ, მერე ნამდვილად ველარაფერი მიშველის, ჩამსვამენ მანქანაში და ისევ უკან დამაბრუნებენ. ჩემს სოფლამდე მოსული ისევ უკან რომ დამაბრუნონ, ნამდვილად გადავირევი. არა, ძმაო, რაც გინდა მიყონ, ცოცხალი თავით უკან არ დავბრუნდები.

„შენი ნება თუ იქნა, იცოცხლე, არ დაბრუნდები, კი, თუ დაგაცადეს! საძებრად ერთი კაცი ხომ არ იქნება წამოსული! ამიტომ, ჩემო კვირიკე, მეტი სიფრთხილე გმართებს!“ — დაარიგა საკუთარი თავი ბიჭმა და დროებით ადგილზე დარჩა. ის კი იყო, რომ თხილის ბუჩქის ხშირფოთლოვანი ტოტები ფრთხილად გადასწია და თავი ისე გამოყო, რომ თვითონ ყველაფერი დაენახა, სხვისგან კი შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ჩამავალი მზე მწვერვალების თავზე შეყოვნდა, თითქოს მთებთან განშორება უმძიმსო. ნათელდაკლებულ, ჩაჩრდილულ ხეობებში უჩვეულო სიმყუდროვეს დაესადგურებინა. მხოლოდ ცალად დარჩენილი ხარირემივით აბღავლებული მთის შლეგი მდინარე მოამტვრევდა ქვიან კალაპოტს, კლდოვან ნაპირებს ასკდებოდა და ათასგვარად დანაოჭებული ტანის დრეკით მიატყლაშუნებდა გაზაფხულის ნიაღვრებისაგან ატალახებულ მძიმე ტალღებს.

მანქანის გუგუნი ახლოვდებოდა, თუმცა გზაზე კვლავ არავინ და არაფერი ჩანდა. ბუჩქებში განაბულ კვირიკეს ბოლომდე კიდევ ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო — საფრიდან გამოსულიყო, მანქანა გაეჩერებინა და მძღოლისთვის ეთხოვნა, სოფლამდე წამიყვანეო, თუ დაეცადნა და როცა კარგად ჩამობნელდებოდა, მაშინღა გაჰყოლოდა რომელიმე ამომვლელ მანქანას, რომ სოფელში ყველასაგან შეუმჩნევლად შესულიყო.

„დავუშვათ, ეს მანქანა გავუშვი და დაღამებას დაველოდე, სხვა მანქანამ რომ აღარ ამოიაროს?.. ქალაქი ხომ არ არის, ერთ ტრანსპორტს თუ ვერ მიუსწარი, მეორეს გაჰყვე, აქ მთაა და, ალბათ, მანქანები მხოლოდ დღისით დადის, ისიც ძვირად და კანტი-კუნტად. კი, ეს ნამდვილად ასე იქნება. ნაშუადღევიდან აქა ვარ და ამ ხნის განმავლობაში სულ რამდენიმე მანქანამ თუ აიარა. ახლა ამას რომ არ გავყვე, მერე შეიძლება სულაც ფეხით მომიწიოს სოფლამდე წასვლა“, — ყოყმანობდა კვირიკე. ბოლოს გადაწყვიტა: „აქედან დავზვერავ, თუ, როგორც ვფიქრობ, ნამდვილად საბარგო მანქანაა, თანაც თუ ზედ საეჭვო არავინ ზის, გავალ გზაზე და შოფერს ვთხოვ, ციხვარგამდე წამიყვანოს, ხოლო თუ საეჭვო რამეს შევნიშნავ, ადგილზე დავრჩები, ამ დალოცვილი ბუჩქების წყალობით ისე ვარ დაცული, ეშმაკიც ვერ მიპოვის“.

ბუჩქი ფრთხილად გადასწია, მაგრამ გზა კვლავ ცარიელი იყო, ვერ ისვენებდა.

„რომ არ წამიყვანოს? წამიყვანს, აბა რას იზამს! კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა წამიყვანოს, რაც ღირს, იმდენს გადავიხდი“.

შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო და სამმანეთიანი ამოიღო. დახედა და შეატრიალ-შემოატრიალა.

„აი, სულ ეს არის მთელი ჩემი სიმდიდრე და ავლადიდება, ჰოდა, კიდევ ის, რაც ტანზე მაცვია“, — საკუთარი თავი უცხოსავით შეათვალიერა და ფიქრი განაგრძო: „მარტო ეს რათა, კაცო, სოფელში მშობლების დანატოვარი სახლ-კარი ხომ მაქვს, ხელს გავანძრევ, თანდათანობით დანარჩენსაც შევიძენ. თუმცა, ნეტა შენ რისი ხელის გამძრევი და სხვა რამის შემძენი ხარ, ჯერ უბრალო ჩხირისთვისაც არ წაგითლია წვერი... ჯერ არა, მაგრამ როცა საჭირო იქნება, ჩხირსაც წავუთლი წვერს და ხეხილსაც დავრგავ. აბა, ქვეყანას იმას ხომ არ ვათქმევინებ, თვალია ორბეთელს უსაქმური და მუქთამჭამელი ბიჭი დარჩაო“.

ამ ფიქრსა და განსჯაში რომ იყო, მანქანამ აღმართი ამოათავა და სწორ გზაზე გამოვიდა. მართლაც საბარგო აღმოჩნდა. ძარაზე რკინის მილები ეწყო, კაბინაში კი მძღოლის მეტი არავინ იჯდა.

ამაზე უკეთეს მანქანას ნამდვილად ვერ იპოვნიდა კვირიკე და ბუჩქებიდან გამოძვრა, გზაზე ჩამოხტა, ტანსაცმელი გაისწორა და მანქანას ხელი აუწია.

მძღოლმა უმალ დაამუხრუჭა მანქანა, კაბინიდან თავი გამოჰყო.

— რა იყო?

— ზევით თუ მიდიხარ, მეც გამიყოლიე, — სთხოვა კვირიკემ.

— ზევით კი მივდივარ, ეს გზა მხოლოდ ზევით მიდის, მაგრამ საქმე ისაა, შენ სად გინდა წასვლა.

— სოფელში.

— კი მაგრამ, აქეთ რამდენიმე სოფელია, შენ რომელში მიდიხარ?

— ციხვარგას.

— ციხვარგას ვერ წაგიყვან, — მოულოდნელად სტკიცა უარი მძღოლმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ? — გაიკვირვა კვირიკემ.

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ იქ არ მივდივარ. მეორე, გულითაც რომ მინდოდეს, მანქანით იქამდე ვერ ავალ. აგერ, ეს მდინარე, გაუხედნავი კვიცივით რომ მიჰიხვინებს, ერთი კვირის წინ ისე გაგიჟდა და გადაირია, რომ რაც ხიდი ნახა, ერთიანად დახვეტა და თან წაიღო. ციხვარგელები მთელი სამი დღე მოწყვეტილი იყვნენ ქვეყნიერებას, ვერც ვინმე მათთან მიდიოდა და ვერც თვითონ გამოდიოდნენ მდინარის გამოღმა. გუშინ სახელდახელოდ შეკრული ორი მორი გადვეს წყალზე და ზედ გადი-გამოდიან. შიხორამდე, თუ გინდა, წაგიყვან, იქ მე ჩემი გზით წავალ, შენ კი იმ სახელდახელო ხიდზე გადახვალ, ჯერ მარჯვნივ გაუხვევ, მერე სულ პირდაპირ ივლი და ნახევარ საათში სოფელში იქნები, შიხორადან ციხვარგამდე, დიდი-დიდი, სამი კილომეტრი იყოს. შენისთანა მარჯვე ბიჭისთვის ამ მანძილის ფეხით გავლას რა უნდა!

კვირიკეს მაინც ვერ გადაეწყვიტა. ყოყმანი რომ შეატყო, მძღოლმა დაუმატა:

— დამიჯერე, ძმობილო, როგორმა მანქანამაც უნდა ამოიაროს, შიხორას იქით არავინ წავა. ასე რომ, გირჩევ, სანამ სულ არ დაბნელებულა, მე გამომყვე შიხორამდე. ისე კი, როგორც გინდოდეს, მაგრამ იცოდე, თუ მაინც სხვა მანქანას დაელოდები, შეიძლება ამაღამ ამ გზაზე საერთოდ აღარავინ ამოიაროს.

კვირიკე ახლა იმან შეაფიქრიანა, ასე თავგამოდებით რატომ ურჩევდა უცნობი შოფერი, გინდა თუ არა, სხვა ვინმეს ნუ დაელოდები, მე გამომყევიო. ალბათ ფულს ეხარბება. ამ მთაში ორიოდე კაპიკიც რომ აიღოს, მისთვის ესეც რაღაცას ნიშნავს... თუმცა, რა ვიცი...

— ჰა, რაღას ყოყმანობ, დაჯექი და წავიდეთ, თორემ მეც მაგვიანდება. ეს მილები ნოწარულში უნდა ავიტანო, ჭაბურღილებზე. რაც მეტს დავიგვიანებ, მით უფრო გამიჭირდება მთაში მგზავრობა, — აუხსნა მძღოლმა.

რაკი იგრძნო, რომ მძღოლს გულით სურდა მისი წაყვანა, ბიჭი საფეხურზე მსუბუქად ახტა და კაბინაში მოხერხებულად მოთავსდა.

მძღოლი ბერკეტს მისწვდა, სიჩქარეში ჩააგდო და მანქანა ადგილიდან დასძრა.

— აგაშენა ღმერთმა, ძლივს ერთი კაცი არ შემხვდა ხმის გამცემი! — ხალისიანად თქვა და ბიჭს გადახედა. — სხვა არა იყოს რა, კაბინაში მარტო ჯდომამ გამომაყრუა, — დაამთავრა სათქმელი მძღოლმა. მერე უჩუმრად შეათვალიერა კაბინის საზურგულს მიყრდნობილი გატრუნული ბიჭი და მოულოდნელად ჰკითხა: — სკოლა-ინტერნატიდან მოდიხარ, არა?

კვირიკე გაოცდა, ვერ მიხვდა, როგორ გამოიცნო მძღოლმა, მართლაც სკოლა-ინტერნატიდან რომ მოდიოდა, არ მოეწონა, რომ მის საიდუმლოს გამომჟღავნება დაემუქრა. ჯერ ცივი უარი უნდოდა ეტკიცა; არ მოვდივარო, მაგრამ მერე იფიქრა, შეიძლება ჩემმა უარმა უფრო დააეჭვოს, როგორც ჩანს, რაღაც იაზრა და ყველაფრის უარყოფა არ ივარგებსო, და ორაზროვნად უპასუხა:

— შეიძლება...

— შეიძლება კი არა, ნამდვილად ასეა! — უკან დასახევი მოუჭრა მძღოლმა.

— კი, ნამდვილად ასეა... მაგრამ როგორ მიხვდი, რომ სკოლა-ინტერნატიდან მოვდივარ? — დაინტერესდა ბიჭი.

მძღოლს ესიამოვნა, რომ მისმა მიხვედრილობამ ასე გააოცა ბიჭი, ისიც გაუხარდა, რომ ლაპარაკში აიყოლია პატარა მგზავრი და გაუღიმა:



დიმიტრი
ლობჟანიძის
მოთხრობამ
„გასროლა
ნაკრძალში“
ჟურნალ
„ნაკადულის“
კონკურსზე
მესამე
პრემია
დაიმსახურა

— ამას რა დიდი მიხვედრა უნდა, ჩაცმულობაზე ყველა ადვილად შეგატყობს, რომ სკოლა-ინტერნატში სწავლობ და იზრდები, შენი პიჯაკის სახელოზე მიკრულ იარლიყზე გარკვევით წერია — „კულხას სკოლა-ინტერნატი“, — აუხსნა მძღოლმა და ისე შეხედა, თითქოს ებოდიშებოდა, არ გეწყინოს, თუ ის, რაც შენ ფარული გეგონა, მე ასე ადვილად ამოვიცანიო.

„აი თურმე, რას გავუცივარ“, — წყენით გაიფიქრა კვირიკემ და სახელოზე დაკერებულ იარლიყს ისე დახედა, თითქოს სკოლა-ინტერნატის ფორმა-ტანსაცმელი იმ წუთში პირველად ჩაეცვას. მისი ახევა და გადაგდება დააპირა, მაგრამ იფიქრა, ეს მძღოლი იმასაც არ მიხვდეს, გამოქცეული რომ ვარ და სკოლა-ინტერნატს ჩემი სამყოფელი არ შეატყობინოსო, და განზრახვაზე უარი თქვა. თანდათან დამშვიდდა — კიდეც რომ მიხვდეს, ვიდრე ვინმეს ჩემი გამოქცევის ამბავს შეატყობინებდეს, მე უკვე ციხვარგას, საკუთარ სახლში ვიქნები და მერე ბევრიც რომ ეცადონ, უკან ვერ გამაბრუნებენ, ბოლოს და ბოლოს, პატარა ხომ აღარა ვარ, დეკემბერში თხუთმეტი წელი შემისრულდება და ამხელა ბიჭს მამისეულ სახლში ცხოვრებას ვინ ამიკრძალავსო! ამით დაიმედებულმა კვირიკემ ისეთი უდარდელი სახე მიიღო, მძღოლს აგრძნობინა, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გამოიცანი თუ არა, რომ სკოლა-ინტერნატიდან მოვდივარო.

— ციხვარგას სტუმრად მიდიხარ? — ისევ ჰკითხა მძღოლმა და მანქანას სიჩქარე გამოუცვალა.

— არა.

— აბა?

— საკუთარ სახლში.

— ესე იგი, ციხვარგას ცხოვრობ.

— კი.

— მერე, მე რომ არასოდეს მინახავხარ იქ? კვირა ისე არ გაივლის, ორჯერ მაინც არ მოვხვდე ციხვარგას.

—ბიჭმა მხრები აიჩეჩა, აბა, რა ვიციო...

— თუმცა, როგორ გნახავდი, თუკი სკოლა-ინტერნატში იზრდები და, ალბათ, სოფელში ძვირად მოდიხარ!

— ძვირად, — დაუდასტურა ბიჭმა, ისევ უნდოდა ეთქვა, რაც სკოლა-ინტერნატში მოვხვდი, მას შემდეგ ჩემს სოფელში პირველად მოვდივარო, მაგრამ გადაიფიქრა — პირველსავე შემხვედრს რატომ ვაბარო ანგარიშიო.

— არდადეგები რომ ჯერ არ დაწყებულა, ასე ნაადრევად შინ როგორ გამოგიშვეს? ჩემი ბიჭი სწორედ შენი კბილაა, ისიც სწავლობს, მაგრამ ჯერ არ დაუთხო-

ვიათ. თქვენთან, სკოლა-ინტერნატში, სხვა სწავლაა თუ სხვა კანონი მოქმედებს? — დაეჭვდა მძღოლი, სახეზე გამომცდელად დააკვირდა, ხომ არაფერს მატყუებსო, მაგრამ ბიჭმა მშვიდად მიუგო:

— არა, არდადეგები ჯერ ნამდვილად არ დაწყებულა და ჩვენს სკოლა-ინტერნატში არც სხვა კანონი მოქმედებს, მაგრამ მე დირექტორს ვთხოვე, რადგან ჩემი სოფელი ისე შორსაა და მგზავრობაც ძნელია, ერთი კვირით ადრე გამიშვი-მეთქი, და იმანაც გამომიშვა. — არ მოსწონდა კვირიკეს, რომ ცრუობდა, მაგრამ რა ექნა, ახლა სიმართლეს ნამდვილად ვერ იტყოდა.

— ჰოო, თუ სთხოვე და გამოგიშვა, მაშინ სხვა ამბავია, — თქვა მძღოლმა.

გზის რელიეფი წამდაუწუმ იცვლებოდა, აღმართს დაღმართი ენაცვლებოდა. დროდადრო უხიდო ან უბოგირო წყლიანი ხევების გავლა უწევდათ, ხან კიდევ მოულოდნელად ისეთი მკვეთრი მოსახვევი შემოხვდებოდათ, მძღოლს წამითაც რომ მოედუნებინა ყურადღება, უმალ ისეთ ხევში გადაიჩეხებოდნენ, მანქანის ნაწილების პოვნაც კი არ მოხერხდებოდა. მაგრამ, ეტყობოდა, მძღოლმა ზეპირად იცოდა ეს გზა და ფრთხილობდა.

ერთხანს ორივენი, მგზავრიც და მძღოლიც, თავ-თავიანთ ფიქრებს მიეცნენ. მძღოლს გზა ადარდებდა და აფიქრებდა, ბიჭს — თითქმის ყველაფერი, რაც კი დედამიწით იწყებოდა და ცით მთავრდებოდა.

გზა მდინარეს მიუყვებოდა. მოუხვევდა მდინარე და გზაც იქვე იყო. რაღაცით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს გზა და მდინარე. მაგრამ მათ შორის განსხვავებაც დიდი იყო. მდინარე მუდამ ერთი მიმართულებით, ზევიდან ქვევით მიედინებოდა და აღმა სვლა არ შეეძლო, ხოლო გზა ზევითაც მიდიოდა და ქვევითაც.

გზისა და მდინარის გვერდიგვერდ სრბოლა უცნაურ ფიქრებს აღუძრავდა კვირიკეს. საოცარია ამ მდინარის საქმე. სულ მუდამ სადღაც მიიჩქარის და ფართიფურთობს. წუთიც კი არა აქვს სულის მოსათქმელად, მორევში თუ შეისვენებს წამით, მერე კი ისევ კისრისტეხით დაეშვება ბარისკენ. გზა კი...

ფიქრებიდან მძღოლის ხმამ გამოარკვია.

— რა იყო, კაცო, ხომ არ ჩაგეძინა?!

— არა, არ ჩამძინებია.

— რა ვიცი, რამდენჯერმე შეგეხმიანე და ხმა არ გამეცი, ვიფიქრე, ალბათ ჩაეძინა-მეთქი.

კვირიკემ ახლაღა შეამჩნია, რომ გაჩერებულიყვნენ და ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— რა იყო, მოხდა რამე, რატომ გავჩერდით?

— არაფერიც არ მომხდარა, მოვედით.

— სად მოვედით? — ვერ მიხვდა ბიჭი.

— ამ ადგილზე ჩვენი გზები იყრება. მე აქეთ უნდა წავიდე, შენ — იქით. აგერ, ამ დირეზე გადახვალ და სულ აღმა ივლი. თუმცა ამდენს რას მალაპარაკებ, შენ უკეთ არ გეცოდინება შენი სოფლის გზა? ოღონდ ხიდზე ფრთხილად გადადი, ფეხი არ დაგიცდეს და მდინარეში არ გადავარდე. მე მანქანას მანამ არ დავძრავ და არც შუქს მოგაცილებ, სანამ მეორე ნაპირზე არ გადახვალ, — დაარიგა მძღოლმა.

კვირიკემ მადლობა გადაუხადა და კაბინიდან ჩამოვიდა. ის იყო, წასვლა დააპირა, რომ გაახსენდა, მგზავრობის ფული არ გადამიხდიაო, ჯიბეში ხელი ჩაიყო, სამმანეთიანი ამოიღო და მძღოლს გაუწოდა.

— რა არის ეს? — იწყინა იმან.

— ფულია, მგზავრობის ღირებულება. — მერე იფიქრა ეცოტავაო, და შემცბარმა ჰკითხა: — კიდევ უნდა?

— აუ, ეს ვინ ყოფილა! — გაწყრა მძღოლი. — ამხელა გზა ერთად ვიარეთ, ის კი არა, დავმეგობრდით კიდეც და... ისეთი რა უნამუსობა შემატყვე, რომ შენისთანა ბიჭს ორ ნაბიჯზე კი არა, ამაზე ასჯერ შორს წაყვან-წამოყვანისათვის ფული გამოვართვა?!

— რა ვიცი, — მორცხვად ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— რა ვიცი კი არა, უნდა იცოდე, ვისთან როგორ მოიქცე, — დაარიგა მძღოლმა. — როცა საჭირო ყოფილა, ფულიც ამიღია, მაგრამ არა ყველასაგან. მე ამ გზაზე ათ წელზე მეტია დავდივარ და ყველა მიცნობს, შენგან რომ ფული ავიღო, რაღა კაცი ვიქნები, ქვეყანაზე თავი არ გამომეყოფა! ციხვარგას რომ ახვალ და მშობლები გკითხავენ, ასე გვიან რას გამოყევიო და ეტყვი, კოქლემ ამომიყვანაო — ეს ჩემი ზედმეტი სახელია, ისე კი ანდრო მქვია — და იმასაც შეიტყობენ, რომ ფული გამოგართვი, მერე აღარც ციხვარგას ამომესვლება და აღარც ვინმეს ოჯახში მიმესვლება ღამის გასათევად. მე კი, ჩემო ძმაო, ციხვარგას კვირაში ორჯერ მაინც მიხდება ასვლა და დარჩენა. შეიძლება, შენს სახლშიც კი მქონდეს ღამე გათეული.

— არა, ჩვენს სახლში ღამე ნამდვილად არ გექნება გათეული, — იუარა კვირიკემ.

— ვითომ რატომ?! — გაუკვირდა მძღოლს.

— მე მშობლები არა მყავს. მეშვიდე წელია, რაც ჩემი სახლი დაკეტილია, შიგ არავინ ცხოვრობს. მეც ამიტომ ვიზრდები სკოლა-ინტერნატში. რვა წლის ვიყავი, მშობლები რომ ავარიაში დაიღუპნენ. სამივენი ერთად მივდიოდით ქალაქში. საბავშვო სახლში მიამბო ეს აღმზრდელმა ქალმა. მამაჩემისათვის თურმე მუხრუჭებს უღალატნია და მანქანა კლდეს შეჯახებია. მე უგრძნობლად ვუპოვნივართ კლდის ძირას, თხრილში, — მოულოდნელად გაანდო კვირიკემ მძღოლს თავისი ს[illegible]ლო და უმალ ინანა, ასე რატომ მოვიქეციო. გაოგნებულმა მძღოლმა ერთხანს ხმა ვეღარ ამოიღო. უზომოდ შეეცოდა ობლად დარჩენილი ბიჭი. იფიქრა, მოვეფერები, ტკბილ სიტყვას ვეტყვიო, მაგრამ ყელში რაღაც გაეჩხირა და ხმა გაუბზარა.

— აბა, წავედი ახლა მე.

კვირიკე გაბრუნდა, საცალფეხო დირე ქურციკივით მარდად გადაიარა და გაღმა გავიდა.

მძღოლმა კი, რაკი საიმედო ადგილზე დაიგულა ბიჭი, საყვირი მისცა და მანქანა დასძრა.

●

კვირიკე ქურდივით მიიპარებოდა მშობლიური სოფლის ჩაბნელებულ ორღობეში, რომ უცხო თვალთაგან შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მცირე ხმაურზე კრთებოდა, ჩერდებოდა, აყურადებდა, ნატრობდა, შინ მისვლამდე არავის შეემჩნია.

ერთი სახლში შევასწრებდე და აღარაფერს ვჩივიო, ფიქრობდა.

არავინ შეხვედრია.

ერთი სული ჰქონდა, როდის შეაღებდა მშობლიური სახლის კარს, როდის გაადაბიჯებდა მის ზღურბლს. ახლა, როცა უკვე სოფლის ორღობეში ფრთხილად მიდიოდა, სკოლა-ინტერნატში მის დასაბრუნებლად მოსულ მდევართან კი არა, სოფლელებთან შეყრისაც ეშინოდა. თუმცა კი აქ, სოფელში, მოსარიდებელი არაფერი ჰქონდა. უბრალოდ, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორ უხმოდ აათვალიერ-ჩაათვალიერებდნენ ჯერჯერობით მისთვის უცნობი ციხვარგელები, რაღაც უსიამოვნო განცდა ეუფლებოდა. ცხადია, გულდასმით დააკვირდებოდნენ მათი სოფლის შუკაში თავისთვის მიმავალ უცხო ბიჭს და ბოლოს, რაკი ვერ იცნობდნენ, ცნობისმოყვარეობით ჰკითხავდნენ, შვილო, ვინა ხარ და აქ ვისთან მოდიხარო...

ამგვარი ფიქრებით აფორიაქებული კვირიკე ფრთხილად მიაბიჯებდა ორღობეში. გარეთ არავინ ჭაჭანებდა. საოცარი ის იყო, რომ მუდამ ფრთხილი და ყურმახვილი სოფლის ძაღლებიც კი არ იღებდნენ ხმას, და ბიჭი უზომოდ მადლიერი იყო მათი. მოდი და ნუ იქნებოდა მადლიერი, ერთ მათგანსაც რომ გაეგონა მისი ფეხის ხმა, ისეთ გნიასს ასტეხდა, მთელი სოფლის ძაღლებს შეყრიდა. იქნებ ბევრი ვერაფერი ევნოთ, ორღობეში ქვა უხვად ეყარა და კეტის პოვნაც არ გაუჭირდებოდა, მაგრამ არც კარგი დღე დაადგებოდა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მთელი სოფელი გარეთ გამოეფინებოდა, ვის უყეფენ ეს ჩვენი ძაღლები ასე გაავებითო.



გამოიღვიძებდა სოფელი, გამოეფინებოდა გარეთ და...

რვა წლის იყო, აქედან რომ წაიყვანეს, მაგრამ ახლაც ცხადად ახსოვდა ის უბანიც, სადაც მათი სახლი იდგა, და იქით მიმავალი გზაც. დარწმუნებული იყო, თვალიც რომ აეხვიათ, მაინც უმცდარად მიაგნებდა. შორიდანვე დალანდა ტყის პირას სხვებისაგან განცალკევებით მდგარი სახლი. კი, ნამდვილად ის იყო. „სოფელი გაზრდილა, განზე გაწეულა, ჩვენი სახლი ადრე სოფლის განაპირას იდგა. ახლა რამდენიმე სხვაც აუშენებიათ, მაგრამ ნამდვილად არ მეშლება, ბოლოდან მეხუთე რომ დგას, სწორედ ის არის ჩვენი სახლი“, — დაასკვნა ბოლოს და ჯიბეში ხელი ჩაიყო. ერთხელ კიდევ მოსინჯა გასაღები, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, თან მაქვს თუ არაო. მშვენივრად იცოდა, რომ გასაღები თან ჰქონდა, მაგრამ ხელი რომ შეახო, მაინც ისე ესიამოვნა, თითქოს ჩვეულებრივი სახლის უბრალო გასაღები კი არა, ოქრო-ვერცხლით სავსე ჯადოსნური ციხე-კოშკის გასაღები ყოფილიყოს.

სიყვარულით შეახო ხელი ჭიშკარს. ბოძზე ჩამოცმული რკინის რგოლი გადააძრო და შეაღო. ჭიშკარმა დაიჭრიალა, თითქოს პატრონის მოსვლამ გაახარაო, შეეგება და შეეხმიანა.

ეზო გაიარა და კიბემდე რომ მიაღწია, წუთით შედგა. მობრუნდა, უკან მოიხედა. კიბის თავში ასულმა კარის სახელურს ხელი წაავლო და დაბლა დასწია. მოსინჯა, ღია ხომ არ არისო, მაგრამ კარი საიმედოდ აღმოჩნდა დაკეტილი. ჭუჭრუტანას გასაღები მოარგო, კარი შეაღო. სიბნელე შემოეფეთა. ფრთხილად შეაბიჯა სიბნელეში, ხელის ცეცებით გაჰყვა კედელს, ჩამრთველი მოძებნა და ოთახი ელექტრონის ბრდღვიალა შუქმა გაანათა.

უეცრად მოვარდნილმა სინათლემ თვალი მოსჭრა კვირიკეს, მაგრამ მალე შეეჩვია და იქაურობა შეათვალიერა. ძალიან ესიამოვნა, რომ ყველაფერი, როგორც ახსოვდა და წარმოედგინა, ისე დახვდა.

შუა ოთახში მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა, კარიდან მარჯვნივ, კედელთან, ორი საწოლი, გარდეროби და წიგნებით სავსე კარადა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მათი პატრონი ამ დილით გასულიყოს შინიდან. რკინის ღუმელის ქვეშ ზომაზე დაჭრილი შეშა ელაგა.

უეცრად საშინელი დაღლილობა დაეუფლა. ახლაღა გაახსენდა, რომ შიოდა, ერთბაშად სიცივეც იგრძნო.

ამ შუაღამისას საჭმელს ვინ მომცემს, მაგრამ გათბობა ნამდვილად არ გამიჭირდებაო, გაიფიქრა და ბუჯერიდან* ასანთი და კვარის ნაპობი ჩამოიღო, ღუმელს შეშის ნაჭრებთან ერთად შეუკეთა. ხმელ შეშას ალი თანდათან მოედო, ოთახში ცეცხლის საამური სუნი და სითბო დატრიალდა.

კვირიკემ სკამი ახლოს მოსწია, ზედ ჩამოჯდა და ღუმელში მოგიზგიზე ცეცხლის იდუმალ საუბარს ყური მიუგდო. სითბო და სიმყუდროვე ესიამოვნა, გაირინდა. ნამგზავრსა და მთელი დღის დაძაბულობით გადაღლილს ძილი წამოეპარა.

ერთხანს ასე დამჯდარი თვლემდა, მერე სიზმარეული ჩვენებით შემკრთალმა თვალი გაახილა, ოთახში დაბნეულად მიმოიხედა, ჯერ ვერ მიხვდა, სად იყო, ხოლო როცა ძილ-ბურანიდან თანდათან გამოერკვა, გაიფიქრა, ასე წვალებას დაწოლა და მოსვენება სჯობიაო.

ფეხზე წამოდგა და ის იყო, საწოლს მიუახლოვდა ასაშლელად, რომ ჭიშკარი გაჭრიალდა და ეზოდან ლაპარაკი მოესმა.

მიაყურადა, სკოლა-ინტერნატის დირექტორის ხმა იცნო, ძილმა უმალ ერთბაშად გაუარა და საწოლს მოსცილდა.

ერთი პირობა სახლიდან შეუმჩნევლად გაპარვა და დამალვა გადაწყვიტა, მაგრამ რომ დაფიქრდა, მიხვდა, გაპარვა არ ივარგებდა.

შუა ოთახში გაჩერდა და მოსულების შემოსვლას დაელოდა, მაგრამ სტუმრები კიბესთან შედგნენ და ერთმა მათგანმა ხმამაღლა დაიძახა:

— მასპინძელო!

ბიჭმა კარი გააღო და სტუმრებთან შესახვედრად გარეთ გავიდა, ღია კარიდან გამოსული შუქი პირდაპირ მოსულებს ეცემოდა.

სამნი იყვნენ, მათგან ერთს იცნობდა მხოლოდ — კულხას სკოლა-ინტერნატის დირექტორს, დანარჩენ ორს პირველად ხედავდა, ყოველ შემთხვევაში, არ ახსოვდა, ოდესმე თუ შეხვედროდა მათ.

ერთხანს სტუმრებიც და მასპინძელიც უხმოდ იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ, ბოლოს ისევ კვირიკემ დაარღვია უხერხული სიჩუმე:

— მობრძანდით, — თავაზიანად შეიპატიჟა სტუმრები.

— რაკი მასპინძელი ნებას გვრთავს და გვეპატიჟება, ნუ გავაწბილებთ, შევიდეთ, თორემ ასე გარეთ დგომა უხერხულია ჩვენთვისაც და მისთვისაც. ასე არ არის, კვირიკე? — ღიმილით ჰკითხა უცნობთაგან ერთმა.

კვირიკეს გაუკვირდა, ამ კაცმა ჩემი სახელი საიდან იცისო, მაგრამ იფიქრა, უთუოდ დირექტორი ეტყოდაო, და შემოსულებს გზა დაუთმო.

— სიკეთე და სიმყუდროვე ნუ მოუშალოს ღმერთმა ამ სახლს! — სადღეგრძელოსავით წარმოსთქვა მეწინავემ, მერე ისევ მასპინძელს მიუბრუნდა:

— კვირიკე, კარგია, რომ მამისეულ კერაზე მოსვლისთანავე, ცეცხლი დაგინთია. კერაზე რომ ცეცხლი ღვივდება და ოჯახში ოთხფეხიდან თუნდაც კატა გაჩნდება შიგ, უმალ სიცოცხლის სუნთქვა იგრძნობა. თუ კაცი ხარ, გვითხარი, ელოდებოდი ვინმეს?

კვირიკემ იგრძნო, რომ ეს გულღია და ხალისიანი მოსაუბრე კმაყოფილი იყო სოფელში მისი დაბრუნებით.

— მე ამ დროს არავის არ ველოდებოდი, მაგრამ შინ რომ შემოვედი, ციოდა და ვიფიქრე, სახლი უცეცხლოდ არ ივარგებს-მეთქი, ისე კი, უფროსებისაგან გამიგონია, სტუმარი ღვთისააო, ვინც კეთილი გულით შემოვა, მისთვის კარი მუდამ ღია იქნება, — დიდი კაცივით დინჯად და სერიოზულად თქვა კვირიკემ და სტუმრებს სკამები შესთავაზა: — დაბრძანდით!

მოსულებს გულწრფელად ესიამოვნათ კვირიკეს ზრდილობიანი ქცევა, თავდაჭერილობა და მოზომილი, აზრიანი სიტყვა-პასუხი. ის ხალისიანი მოსაუბრე ჩუმად მყოფს მიუბრუნდა.

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**



* ბუჯერი — ძველებური ქვითკირის სახლის კედელში ბუხრის თავთან დატანებული მცირე ზომის ჭრილი, ან ამავე ზომის ხის, გინდა ქვის თარო, რომელსაც ლამპის შემოსადგმელად და ასანთის შესანახად იყენებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავთანდილ გურგენიძე 50



ჩვენი ჟურნალის აქტიურ თანამშრომელს, ქართველი მოზარდების საყვარელ პოეტს ავთანდილ გურგენიძეს დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

ავთანდილ გურგენიძის პირველი ლექსები „ნორჩ ლენინელსა" და „ახალგაზრდა კომუნისტში" დაიბეჭდა, პირველი წიგნი 1975 წელს გამოქვეყნდა. დღემდე გამოცემული აქვს ოცამდე წიგნი, მათ შორის საყმაწვილო ლექსების კრებულები: „მზეო, მზეო, თვალხატულავ", „ბეჭე მოდის", „მარადიული ცეცხლი", „გაზაფხული მობრძანდება" და სხვ. ჩვენს ჟურნალში პოეტი 1971 წლიდან თანამშრომლობს, არის მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ავთანდილ გურგენიძის საყმაწვილო ლექსები გამთბარია მშობლიური მთა-ბარის, ქართველი ხალხის ალალი და ჭეშმარიტი სიყვარულით, ისინი მოზარდებს უღვივებენ ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლის თვისებებს. პოეტის ლექსებს ახასიათებს სისადავე და, ამავე დროს, მაღალი მხატვრული დონე.

„ნაკადულის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ჟურნალის ათიათასობით მკითხველის სახელით გულითადად ულოცავენ პოეტს საიუბილეო თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

## ჰამლეტ გონაშვილს

აღარც მომღერლებს ინდობს
სიკვდილი,
როგორც პოეტებს, დუელში იწვევს...
და გალობ ისევ, როგორც იმ დილით
და ძველებურად ის გული გიცემს.
რამდენ უსუსურს მიეცი ღონე,
რამდენ მწყურვალეს თასი აუვსე...
ასე მამულზე მღერიან მხოლოდ,
უკვდავ მამულსა და სიყვარულზე.
არა, ხუმრობა საქმე როდია —
საქართველოში მომღერლად დარჩე...
თითქოს გულიდან ამხსნეს ლოდი და
იმავე გულში ულმერთოდ დამჭრეს.
უსაშველოა სიმღერა შენი,
საიდან მოდის — არავინ უწყის, —
გულის ცახცახი — შემკრთალი
შველის, —
სულის კანკალი — ძირძველი ფუძის...
და გალობ ისევ, როგორც იმ დილით
და ძველებურად ის გული გიცემს...
აღარც მომღერლებს ინდობს
სიკვდილი,
როგორც პოეტებს, დუელში იწვევს.

•

მე რად მინდა მარტო რითმა,
მე რად მინდა ლექსი ძნებად...
ქართველებით გატენილი
საქართველო მესიზმრება.

მე რად მინდა მარტო სიტყვა,
თუ ძველ-ძველა ფესვი ზრება...
რუსთველი და თამარ მეფე
სულ ცოცხალი მესიზმრება.

მე რად მინდა მარტო მინდი,
თუ წამგლიჯეს თესლი სხვებმა...
ცოტნესი და პაატასი
ნასიზმრალი მესიზმრება.

მე რად მინდა ერთის ლექსი,
ერთის ცეკვა და სიმღერა...
მე ხორუმის მოცეკვავე
საქართველო მესიზმრება.

იმედი და სასოება —
ნუ მოგვშლოდეს ეს ღირსება...
ღმერთო, ყველას დაასიზმრე,
რაც მე ახლა მესიზმრება.

## ლექსები მამულზე

— შენი ჭირიმე, მამულო,
სულ სალოცავი ხარაო,
ვეღარაფერი მიშველის,
მიყვარხარ, ვეღარ ვფარავო...

სისხლი დავღვარო წვეთებით,
როგორც მრავალმა ღვარაო,
თუ ხელის ბიჭად დაგიდგე,
ოფლით გიხადო ღალაო;

თუ დავიღალო სიმღერით,
ვით ბევრი დაიღალაო;
მითხარი, რაში წაგადგე,
შენთვის არაფერს ვმალავო...
. . . . . . . . . .
— ერთი რაიმე გახსოვდეს,
სხვა არა მინდა, არაო:
ისეთი დიდი არ გახდე,
რომ თვალში გეპატარავო!..

## რიწის ფერია

უღვთო სილამაზისაგან
ამეხადა ქალა მე...
ლექსი უნდა დავწერო,
ჩქარა, საწერ-კალამი!

ამ ზარდამცემ მშვენებას
სიზმარშიც ვერ ვნახავდი...
რიწა უნდა დავხატო, —
ჩქარა, ჩქარა ქაღალდი!

# საუბრები რელიგიაზე

# რა არის ბიბლია?

ბიბლია არის წიგნი რელიგიის, ისტორიისა და ფილოსოფიური აზროვნების, ლიტერატურისა და ხელოვნების, მედიცინისა და სულის სიძლიერის, ქორწინებისა და ოჯახის, სიყვარულისა და ერთგულების, სიკეთისა და ბოროტების, მშვენიერების, კაცთმოყვარეობის, თავდადების, მონანიებისა და ცოდვების მიტევების, განწმენდისა და სულიერი გასპეტაკების, წიგნი ზოგადსაკაცობრიო აზროვნებისა, კაცობრიობის მარადიული მასწავლებელი და, სწორედ ამიტომ, წიგნი სიბრძნისა და რწმენის, სჯულისა და ჰუმანიზმისა.

ეს არის წიგნი, რომელზედაც აღიზარდა ცივილიზებული კაცობრიობა და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ყველა დროის აქტუალურ წიგნად რჩება. ძნელია დავასახელოთ ანალოგიური ხასიათის წიგნი, რომელზედაც იმდენი დაწერილიყოს, რამდენიც ბიბლიაზე. წიგნი, რომლის შექმნასაც 1500 წელი დასჭირდა, 2500 წელზე მეტია, კაცობრიობას სიბრძნეს ასწავლის.

წინა წერილში ჩვენ გაკვრით შევეხეთ ბიბლიას. ახლა კი უფრო სრულად განვიხილოთ ამ წიგნის შექმნის ისტორია, მისი შინაარსი.

მაშ, ასე: სიტყვა „ტა ბიბლია" ბერძნული წარმოშობისაა და წიგნებს ნიშნავს (მხ. რიცხვში—ბიბლოს — წიგნი). ამ წიგნებს წერდნენ სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (ძვ. წ. XIII საუკუნიდან ჩვ. წ. II საუკუნის ჩათვლით) და, სწორედ ამიტომ, შინაარსითაც ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან. მაგრამ ბიბლია მთლიანად ებრაელი ხალხის შექმნილია და ამიტომაც მასში გადმოცემული ამბები, ამ ხალხის რელიგიასთან ერთად, მისი ისტორიაცაა.

კაცობრიობა ბიბლიას სხვა სახელებითაც იხსენიებს, მაგალითად: დაბადება, ძველი და ახალი აღთქმა, საღმრთო წერილი, ღვთის სიტყვა, წმიდა წერილი. ამ წიგნებით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ორი დიდი რელიგიის — იუდაიზმისა და ქრისტიანობის ჩასახვა-განვითარებასაც, რაც თანამდევია იუდეველებისა და მეზობელი ხალხების ისტორიული სინამდვილისა.

ბიბლია 89 წიგნისაგან შემდგარი კრებულია, დაწერილი ჩვენს ერამდე ძველებრაულ ენაზე და შერჩეული ღვთისმეტყველ მეცნიერთა მიერ. ეს წიგნები სწორ, „ღვთითკურთხეულ" ანუ კანონიკურ წიგნებად იწოდებიან, რომელთა ავტორიტეტს ქრისტიანებიც აღიარებენ. მათ ძველი აღთქმის წიგნებს უწოდებენ. მაგრამ ბიბლია ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ქრისტიანული რელიგიის 27 წიგნსაც შეიცავს, რომლებიც ახალი აღთქმის წიგნებად იწოდებიან და დაწერილია ჩვ. წ. I-II საუკუნეებში ბერძნულად, და რომლებსაც იუდეველები კატეგორიულად უარყოფენ.

არსებობს ისეთი წიგნებიც, რომლებიც არც ძველი და არც ახალი აღთქმის კრებულებში არ მოხვედრილან. ესაა აპოკრიფული წიგნები (ბერძნული სიტყვიდან „აპოკრიფოს"— დაფარული). ისინი თან ახლავან ბიბლიის ორივე ნაწილს (დაახლოებით 200-მდე წიგნი) და საშუალებას გვაძლევენ, თვალი გავადევნოთ იუდაიზმისა და ქრისტიანობის ჩამოყალიბებას.

მეცნიერთა აზრით, V-VII სს. ქართულ ტექსტებში უკვე არის ბიბლიის თარგმანები, ხოლო ე. წ. ოშკის ბიბლია X ს. უძველესი ქართული ხელნაწერია. XI ს. ბიბლიის ზოგიერთი წიგნის თარგმანი ხელნაწერი შეუსრულებიათ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს. XII საუკუნეში შეუდგენიათ გელათის ბიბლია ბერძნული სეპტუაგინტას (სამოცდაათწიგნეულის თარგმანის) მიხედვით; სულხან-საბა ორბელიანსაც დიდი შრომა გაუწევია ბიბლიის ტექსტზე. 1748 წელს ბაქარ ბაგრატიონის ინიციატივით პირველად გამოუციათ ბიბლიის სრული ტექსტი ქართულად. მის მომზადებაში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია არჩილ მეფეს. 1884 წ. ექვთიმე ხელაძემ თბილისში ქართულად დასტამბა ბიბლია ორ წიგნად, სულ ახლახან კი ქართული ეკლესიის სინოდმა ერთ წიგნად გამოსცა ბიბლიის ორივე ნაწილი — ძველი და ახალი აღთქმა.

ძველი აღთქმის, ანუ, ქართულად, დაბადების წიგნები სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია: კანონი, წინასწარმეტყველნი და წერილები. კანონი ანუ თორა მოსეს წიგნებთან არის დაკავშირებული და ებრაულად ხუმაშს უწოდებენ. იგი აგვიწერს სამყაროს შექმნას, სიცოცხლის, ადამიანის გაჩენისა და მსოფლიოს უძველესი ხალხის — ებრაელების ისტორიის ადრეულ პერიოდს. ამბების თხრობას გადავყავართ შორეულ წარსულში. საშუალება გვეძლევა, წარმოვიდგინოთ მითოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების ჩასახვა-განვითარების თავისებურებანი, ის პირველი რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც შემდგომში მსჯელობის განვითარების საფუძველს ქმნიან და განიცდებიან, როგორც რეალურად მომხდარი და, ამასთანავე, როგორც მარადიული ჭეშმარიტების სიმბოლოები.

მეორე ნაწილში — წინასწარმეტყველნი — წარმოდგენილია წიგნები: ისუ ნავესი, მსაჯულთა, მეფეთა, ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისა და 12 მცირე წინასწარმეტყველისა.

მესამე ნაწილი — წერილები — შეიცავს ფსალმუნს (ბერძნ. ფსალმოს

— სახოტბო საგალობელი), სოლომონის იგავებს, იობის წიგნს, ქებათაქებას, იერემიას გოდებას, ეკლესიასტეს (სავარაუდოდ ნიშნავს „შესაკრებელში მქადაგებელს“) და სხვ.

საინტერესოა ბიბლიის შინაარსი ჟანრობრივი თვალსაზრისითაც. კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება მოხდეს: ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მითები და ზღაპრები, რელიგიური, ლიტერატურული, სოციალური, სამეურნეო, პოლიტიკური, სამკურნალო, სათავგადასავლო, სასწაულებრივ-წარმოსახვითი, ფანტასტიკური.

ბიბლიაში ბევრი ისტორიული პირი და გეოგრაფიული სახელწოდებაა. ზოგიერთი მათგანის არსებობა დასტურდება ცნობილ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა შრომებში.

ბიბლიის, როგორც რელიგიური წიგნის, თავისებურება ყველაზე მეტად გამოიხატება ღვთის რწმენის სიღრმითა და ხარისხით. ყველა ძირითადი დებულების ამოსავალია ღვთისადმი განუზომელი სიყვარული, შიში, კრძალვა, ერთგულება, რომლებიც ფაქტობრივად განაპირობებენ ადამიანთა მთელ ცხოვრებას. ზნეობრივია ის, რაც ღვთის მოსაწონია, ხოლო ღვთის მოსაწონია ის, რაც ჭეშმარიტი რწმენით არის განსაზღვრული და უზენაესი არსებისადმი უანგარო სამსახურით ვლინდება. ამ თვალსაზრისით ბიბლია ღრმად რელიგიური წიგნიცაა, მაგრამ, როგორც ვთქვით, არა მარტო რელიგიური.

ბიბლია არ შეიძლებოდა ცარიელ ნიადაგზე შექმნილიყო. მასში წარმოდგენილი მითოსური პერსონაჟები და თემატიკა იმდენად შორეულ წარსულს განეკუთვნებიან, ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუკი მას ებრაელთა ისტორიის წინარე ხანას დავუკავშირებთ. ასეთ მითებად მიიჩნევენ ამბავს ებრაელთა „პატრიარქებზე“ — აბრამზე, ისაკზე, იაკობსა და მის 12 ვაჟიშვილზე, მოსეზე, ეგვიპტეში ებრაელთა ყოფნაზე, ბაბილონის ტყვეობიდან მათ დახსნაზე, უდაბნოში 40-წლიან ხეტიალზე, პალესტინაში დასახლებაზე და სხვ. პატრიარქების შესახებ მონათხრობით წარმოდგენა გვექმნება ებრაელთა გვარტომობრივ პერიოდზე, ხოლო ძმების — აბელისა და კაენის ეპიზოდით ვაცნობიერებთ მეურნეობრიობის ადრინდელ პერიოდს — მომთაბარე-მეჯოგეობასა და მიწათმოქმედებას, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას.



ალავერდის ოთხთავი, 1054 წ. ქრისტე სწერს ეპისტოლეს ავგაროზს

ბიბლიაში ვეცნობით მაშინდელი ახლო აღმოსავლეთის მდიდარ ფლორასა და ფაუნას, რომელთაგან ბევრი, კარგა ხანია, გადაშენებულია. იგივე შეიძლება ვთქვათ ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებზე, ხალხებზე, წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე. ამ თვალსაზრისით, ბიბლია თავისებური ენციკლოპედიური წყაროცაა, რომლის შემწეობითაც მუდმივად შეგვეძლება ჩვენი ცოდნის შევსება და ისტორიის სიღრმეში მოგზაურობა.

განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება ბიბლიაში მეფეთა და წინასწარმეტყველთა ცხოვრება და საქმიანობა. აქ გვხვდება ცნობილი სახელები: საული, დავითი, სოლომონი, ისაია, დანიელი, იონა და სხვ., რომელთა ნამოღვაწარი საქმენი ებრაული ისტორიისა და რელიგიის მნიშვნელოვანი ნაწილებია.

ისმის კითხვა: ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ბიბლიაში კონკრეტული სახელებით წინასწარმეტყველებად იწოდებიან და რომელთა კალამსაც განეკუთვნება ცალკეული წიგნები?

წინასწარმეტყველად ითვლებოდა ის ადამიანი, რომელიც განსჭვრეტდა მომავალს და ამის საფუძველზე გარკვეულ რჩევას აძლევდა სხვებს. მაგრამ წინასწარჭვრეტის უნარი, როგორც ღვთით მომადლებული ნიჭი, ეძლეოდა მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც ღვთის მიერ იქნებოდა შთაგონებული. მაშასადამე, წინასწარმეტყველი ამბობდა მხოლოდ იმას, რის განჭვრეტაც სხვას არავის შეეძლო, და ამიტომ ღვთის სიტყვას წარმოადგენდა. ასეთი წინასწარმეტყველის წიგნი ბევრია ბიბლიაში, მაგრამ განსაკუთრებით ღირებულია მოსეს ხუთი წიგნი, რამეთუ მათი ავ-

ტორი, ებრაელთა წარმოდგენით, არის ის ადამიანი, რომელსაც ღმერთმა იადვემ ებრაელთა წინამძღოლობა და დამოძღვრა არგუნა წილად. ასე რომ, წინასწარმეტყველთა ტვირთი საკმაოდ მძიმე იყო და მისი სრულფასოვნად ტარებაც მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ.

ბიბლია სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალაა. მასში დაცულია ეპოქების სპეციფიკა, სამეფო დინასტიების მმართველობის ფორმები, დაპყრობები, ერისა და ქვეყნისთვის თავდადება და სხვ. ასეთი ხასიათისაა, მაგალითად, ისაია წინასწარმეტყველის წიგნის პირველი 39 თავი, ქვეყნისათვის თავდადებული იეზეკიელის წიგნი, წიგნი დანიელისა და ა. შ.

ბიბლიაში უხვადაა წარმოდგენილი, აგრეთვე, ხალხური მედიცინის ამსახველი მასალა. ასეთებია, მაგალითად, ლევიტელთა წიგნის მე-13 და მე-14 თავები, წიგნი მეორე სჯულისა, თავი მე-13, ახალი აღთქმიდან — იაკობის წერილი, თავი მე-5 და სხვ.

ბიბლიაში საინტერესო ცნობებია დაცული ებრაელთა გვარტომობრივი და სახელმწიფოებრივი რელიგიების მოთხოვნების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების, კულტის მსახურების, დღესასწაულებისა და სხვათა შესახებ. აქვე შეიძლება დაიძებნოს პარალელები სხვა ხალხთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და ღვთისმსახურებასთან.

ბიბლიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ავტორის წიგნებში მოცემული მასალები ქორწინების, ოჯახის, თაობათა ურთიერთობის, ცოლ-ქმრის დამოკიდებულების, სამართლის ნორმებისა და სხვათა შესახებ, რომლებიც თავიანთი აქტუალობით მნიშვნელოვნად ეხმიანებიან დღევანდელობასაც.

ბიბლიაში უხვადაა გამოყენებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომელთაგან ბევრი დღესაც იხმარება ჩვენს ყოველდღიურ საუბარში ანდაზის, მეტაფორის, ალეგორიის, აფორიზმების სახით. ასე, მაგალითად: „ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ მოისხამს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ“ (ლუკა, 3-9); „თქვენთვის დაწესებულის მეტს ნურაფერს მოითხოვთ“ (ლუკა, 3-13); „ნურავინ ჩაასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში. თორემ ახალი ღვინო ტიკებს დახეთქავს, ღვინოც დაიკარგება და ტიკებიც“ (ლუკა, 6-36, 37) და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბიბლიას გამორჩეული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ წიგნთა შორის. სწორედ ამიტომ, მის მიმართ ინტერესი ყოველ დროს განსაკუთრებით დიდი იყო. მის შესახებ მსჯელობდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების წარმომადგენლები, თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ მორწმუნენი თუ არამორწმუნენი, სხვადასხვა რელიგიების მიმდევრები, იდეალისტები თუ მატერიალისტები. ბევრი მოაზროვნე იმასაც შეეცადა, ეჩვენებინა ბიბლიის ტექსტში მოხმობილ ფაქტებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობანი. ესენი იყვნენ რომაელი მწერალი ცელსი (ჩვ. წ. II ს.), ებრაელი მეცნიერი ელიშა ბენ აბუია (I ს.), VIII ს. ებრაელი მოღვაწე ხივი ჰაბალკი და სხვ.

ბიბლიის ტექსტის ახსნისა და გაგების მიზნით ქართველ ავტორთა წიგნებიც მნიშვნელოვანი შენაძენია. ზოგიერთი მათგანი პოპულარული ლიტერატურაა, ზოგიერთი კი — სამეცნიერო. განსაკუთრებით აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიური ისტორია“, რომელიც ყველასათვის გასაგებად გადმოგვცემს ბიბლიური თქმულებების შინაარსს. საინტერესოა ზ. კიკნაძის „საუბრები ბიბლიაზე“, თ. ფანჯიკიძის „ბიბლია გუშინ, დღეს...“ და სხვ.

ძვირფასო ბავშვებო! იმის გამო, რომ საჟურნალო სტატია საშუალებას არ გვაძლევს ბიბლიის შინაარსის თანამიმდევრულად და სრულად გადმოცემისა, იმედია, წაიკითხავთ ზოგიერთ დასახელებულ წიგნს და მოგვწერთ თქვენს შთაბეჭდილებას, აზრს ამა თუ იმ ეპიზოდის შესახებ.

რუსუდან წიქვაძე



# ცუგა

**გურამ ჯანდიერი**

**მხატვარი ედ. ამბოკაძე**

მოხუცი მიუჯდა ბუხარს, ჩასთვლიმა. გარეთ ქარი ზუზუნებდა და წამდაუწუმ აღვიძებდა. „ასეთი ცივი ზამთარი, კარგა ხანია, არ ყოფილა იმერეთში, —— გაიფიქრა. აივანზე ქარი რაღაცას აფრიალებდა, არ ისვენებდა. ისევ გაექცა ძილი, გაიტაცა ფიქრებმა. უცნაურად იშლებოდა მის გონებაში წარსული... ფურცლავდა და ფურცლავდა თავისი ცხოვრების წიგნს.

ომიდან უვნებელი დაბრუნდა, მერე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ითხოვა ერთი კარგი ჯანმაგარი ფშაველი ქალი, სამი ბიჭი რომ აჩუქა. უფროსი იურისტია, მომდევნო საკმაოდ სახელგანთქმული მწვრთნელია, პატარამაც ფეხბურთელობა ინდომა, ერთხანს თამაშობდა სხვადასხვა რანგის გუნდებში. რესპუბლიკის მთავარ გუნდში ჩარიცხვასაც უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ რაღაცამ დააბრკოლა და მალე ბელორუსიაში მიიპატიჟეს, — იქ თამაშობდა და თან სწავლობდა. დაბრუნდა. ითხოვა ცოლი და სამ შვილიშვილს — თენგიზს, დათოს და გურამს მისი გოგონაც დაემატა — ზუმბულიძეების ხუთ თაობაში პირველი ქალი — პატარა ნატული. მისი გახსენებისას თბილი ტალღა გადაევლო მთელ სხეულზე.

ჩათვლიმა. ისევ გააღვიძა კარზე ძაღლის ფხაკუნმა, — შესცივნოდა და ოთახში შემოსვლას ითხოვდა. შემოუშვა. ძაღლმა ჯერ თავი შემოჰყო. მიმოიხედა და ქალი რომ ვერ შენიშნა, შემოვიდა. ძაღლს ქალის ეშინოდა, რადგან ქალს არ უყვარდა

ოთახში ძაღლის შემოსვლა. ვახტანგი მოეფერა მურას, მანაც მოიკალათა მოხუცის ფეხებთან და ჩაეძინა.

სხვა ძაღლი გაახსენდა ახლა ვახტანგს და სხვა ზამთარი...

ათას ცხრაას ორმოცდასამ წელს საზენიტო ბატარეა, რომელსაც ვახტანგ ზუმბულიძე მეთაურობდა, ჩრდილოეთ ოკეანის ერთ კუნძულზე, იყო განლაგებული. ეს იყო ბაზა იმ გემებისა და, მათ შორის, წყალქვეშა ნავებისათვის, რომლებიც ინგლისიდან მომავალ ქარავნებს იცავდნენ. მათ არაერთი გემი და უამრავი ადამიანი გადაურჩენიათ. თვით ქარავნებს კი ჩვენს დასახმარებლად იარაღი და სურსათი მოჰქონდათ. ქარავნების დამცველ ფლოტს ჰაერიდან ბაზის ნავსადგურშიც ელოდა ხიფათი. ამ საყინულეში უამინდობას ნატრობდა კაცი, და თუ დარი იყო... მტრისას, გერმანელთა ბომბდამშენები შავი ყორნებივით დააფრინდებოდნენ ხოლმე.

უამინდობა უშლიდა გერმანელებს ფრენას და აქ ენით აუწერელი სიხარულით ელოდნენ ღრუბლიან ამინდს.

მტრის მოახლოების ამბავს ზუმბულიძის ბატარეას ტელეფონით ატყობინებდნენ ბაზის შტაბიდან, მაგრამ ეს იმდენად გვიან ხდებოდა, რომ წესიერად მომზადებას ვერ ასწრებდნენ, მოფრინდებოდნენ თვითმფრინავები და საშინელ დღეს აყენებდნენ ბაზას, მის პირად შემადგენლობას და, რასაკვირველია, ზუმბულიძის ბატარეას.

იმ ყინვასა და მუდმივ საფრთხეში ცუგა იყო ერთადერთი არსება, ოდნავ რომ უფერადებდა ყოველდღიურობას. იგი ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა აჩუქა. ერთი თვის ლეკვი საკუთარი ხელით გაზარდა. აკი ასახელა კიდეც ცუგამ პატრონი...

ახსოვს, ერთხელ, ნაშუადღევს, აწკმუტუნებული შემოვარდა მიწურში და საწოლის ქვეშ შეძვრა. ზუმბულიძე შეწუხდა, ხომ არ ატკინეს რამეო. გარეთაც გავიდა, შეათვალიერა იქაურობა და ვერაფერი რომ ვერ შენიშნა, ისევ მიწურში ჩავიდა. ძაღლი იწვა და წკავწკავებდა. გავიდა კიდევ ათი წუთი და ახლა ტელეფონი აწკრიალდა. ვახტანგმა ყურმილი აიღო. ბაზის უფროსი, პოლკოვნიკი მუდრიკი ლაპარაკობდა.

— ხომ არ ჩაგეძინა, დიავოლ? — ძალზე უყვარდა ეს „დიავოლ“, რომლითაც რისხვას, გაკვირვებას და, კაცმა არ იცის, კიდევ რას არ გამოხატავდა. — გერმანელთა ბომბდამშენები ხუთ წუთში ჩვენს თავზე იქნებიან!

და, მართლაც, ჯოჯოხეთი ხუთ წუთში დაიწყო.

იმ დღეს განსაკუთრებული სისასტიკით დაბომბეს ბაზა გერმანელებმა, მთლიანად დაიღუპა ბატარეის ერთი ქვემეხის შემადგენლობა. ზუმბულიძე ფეხში დაიჭრა. ჭრილობა მძიმე არ იყო და მწყობრიდან არ გამოსულა.

მომდევნო სამ დღეს ისევ თოვდა... ამოვარდა ქარი, რაც ორმოცგრადუსიან ყინვას უფრო გაუსაძლისს ხდიდა.

მერე ისევ გამოიდარა. და ისევ — დაბომბვის მოლოდინი. „რა უცნაურად იქცევა! — გაიფიქრა ვახტანგმა. — რა უნდა, რას მიმანიშნებს ნეტავ საწოლქვეშ დამალვითა და წკმუტუნით?..“

იქნებ მოსალოდნელ დაბომბვას გრძნობს!.. ერთი ნაცნობი ზემოიმერელის ნაამბობი გაახსენდა. ქვრივ მინადორა ერგემლიძის სახლი რომ წაიღო მეწყერმა, სასწაულით გადარჩენილი ქალი უყვებოდა თურმე ყველას, ძაღლი მთელი ღამე წრიალებდაო. ცხოველები სხეულით გრძნობენ უბედურების მოახლოებასო, სხვებისაგანაც მსმენია.

მშვიდობიანად ჩაიარა ერთმა კვირამ და ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ბატარეა საბრძოლოდ ემზადებოდა, ვახტანგმა შენიშნა, რომ ძაღლი მიწურისკენ გარბოდა. ...არც აცივა, არც აცხელა, ტელეფონს მივარდა და მუდრიკთან დაკავშირება ითხოვა.

— მალე დაუპატიჟებელ სტუმრებს უნდა ველოდოთ!

— საიდან იცი, დიავოლ?

— ძაღლმა მიამბო! — აუხსნა ვახტანგმა და მოესმა, როგორ ახითხითდა მუდრიკი ყურმილში.

მართლაც, სულ მალე დაარწმუნა ცუგამ ყველანი თავის ალღოიანობაში, ყველას განსაკუთრებული ყურადღება მოიპოვა. ბოდიში მოიხადა მეთაურმაც, სხვა რაღა გზა ჰქონდა, მოუბოდიშა თავისი ურწმუნოებისათვის უფროს ლეიტენანტ ზუმბულიძესაც.

ამის შემდეგ ბატარეის მეთაურს ბაზიდან ურეკავდნენ ხოლმე და ეკითხებოდნენ, რას შვრება თქვენი ძაღლი, ხომ არ წკმუტუნებსო. ზუმბულიძე კი დაუყოვნებლივ ატყობინებდა ხელმძღვანელობას, როგორ იქცეოდა ცუგა.



# აკაკი წერეთლის ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოთხრობილი გივი გეგეჭკორის მიერ

### მოხუცი როსტომი. „ყვითელი სანთელი“. ბაზილისა და პონშარის სტუმრობა. როსტომის გარდაცვალება

ამ წლებში ჯერ ქუთაისიდან და მერე თბილისიდან აკაკი, უფრო მეტად ზაფხულის თვეებში, სხვიტორში ჩადის მოხუცებულ დედმამასთან, როსტომი ზოგჯერ სისასტიკეს ამჟღავნებს და აკაკი მამას ებრძვის.

ერთხელ, იმდროინდელი წესის მიხედვით, როსტომი ერთ ყმას ღვინის ტიკს გაუგზავნის და ის ყმა ბატონს ტიკით ღვინოს მოუტანს. ტიკი თურმე სასახლიდან დაზიანებული გაუგზავნიათ და ღვინით გავსებულ ტიკს როსტომის სასახლეში რომ შეინახავენ, ღამით გაჟუვა და სულ დაიცლება. ის ყმა ღამეს როსტომის სასახლეში ათევს. დილით როსტომის უფროსი ქალიშვილი ანა რომ წამოდგება და დაცლილ ტიკს ნახავს, ამბავს როსტომს მიუტანს. როსტომი იმ ყმას მოაყვანინებს და უბრძანებს: ახლავე იმ ღვინის სანაცვლო მომიტანეო. ყმა როსტომს დაუჩოქებს და შეევედრება: ბატონო, მე ღვინო აღარა მაქვს, რაც მქონდა, თქვენი გამოგზავნილი ტიკით მოგართვით და რაღა მოვიტანოო? აკაკი ვეღარ მოითმენს, მამასთან მივა და ეტყვის: მამაჩემო, ამ კაცს რას ერჩი, შენი ტიკი დაზიანებული ყოფილა, ღვინო რაცა ჰქონია, შენთვის წამოუღია, მეორედ საიდან მოგიტანოსო? მერე მზარეულს დაუძახებს: გლახუკა, მოდი, ეს ყმა დაკალი და მამაჩემს სადილად მიართვიო. ამას რომ იტყვის, გაბრაზებული გარეთ გავარდება და თბილისში წავა.

როსტომი ჭურების სარეცხად შინაყმას გლეხებს რომ მოაყვანინებს და ეს გლეხები ჭურებში რომ ჩავლენ, სამი დღე მაინც უნდა რეცხონ. დღეში სამ აბაზად მუშაობენ. ერთხელ აკაკი ზევიდან ერთ დიდ ჭურს ჩაჩერდება და ჭურის მრეცხავს ჩასძახებს: გამარჯობა შენიო! მრეცხავი ამოიხედავს და ამოსძახებს: გაგიმარჯოს, ჩემო აკაკიო. აკაკი შეეკითხება: მამაჩემი ამ ჭურების დარეცხვაში რას გაძლევთო? გლეხი უპასუხებს: ღმერთმა მაგისი ოჯახი ააშენოს, სამ დღეს მოვუწდებით და ორ-ორ მანეთს მაინც მოგვცემსო. მერე ცოტა არ არისო? — შეეკითხება აკაკი. გლეხი უპასუხებს: არა, ბატონო, ბევრიცააო... აკაკი ეტყვის: როცა გაათავოთ, ჩემი უნახავი არ წახვიდეთო. მართლაც, გლეხები მუშაობას რომ მორჩებიან, აკაკისთან მივლენ. აკაკი კარგ პატივსაც სცემს, თითოს ხუთ-ხუთ მანეთსაც მისცემს, ისე გაისტუმრებს და თან ეტყვის: მამაჩემს არაფერი უთხრათ, რაც გეკუთვნით, იმისგანაც მიიღეთო...

სიბერეში როსტომს ახირებულობა კიდევ უფრო გაუმძაფრდება. როცა ეკლესიაში თეთრი სანთლების დანთებას შემოიღებენ და ყველანი იმას დაანთებენ, როსტომს სახლიდან მაინც ყვითელი სანთელი მიაქვს და იმას ანთებს. ერთხელ აკაკი ეკლესიის გალავნიდან რომ გამოვა, ერთი ახალგაზრდა მეგობარი დახვდება და ეტყვის: რატომ არ ურჩევ მამაშენს, რომ ჯინიანობაზე ხელი აიღოს და უბრალო რამ სალაპარაკოდ არ გახადოს? სიძუნწით რომ მოსდიოდეს, სხვა არის, თორემ რა არის, სახლიდან მუდამ ამ სანთელს რომ დაათრევსო?

მას უკან ბევრი წყალი ჩაივლის, აკაკი თითქმის იმ ხნისა მოიყრება, მამამისი რომ იყო და ერთი გლეხისაგან მხოლოდ მაშინ გაიგებს, შინიდან მამამისს ყვითელი სანთელი თუ რატომ მოჰქონდა.

ამ სოფლელ გლეხს აკაკი სასახლეში დაპატიჟებს. საუბარი ფუტკარზე და სანთელზე ჩამოვარდება და გლეხი აკაკის შესჩივლებს, ახლა ყვითელი სანთლის ნაცვლად ყველანი თეთრ სანთლებს ხმარობენ, იქვე საყდარში ყიდულობენ და იმას ანთებენ. ადრე კი ყველას თვითონ უნდა ეშოვნა და საყდარში ყვითელი სანთელი თვითონ მოეტანა. ამას, ფუტკარი თუ არ ეყოლებოდა, ვერ მოახერხებდა, ჩვენს დროში უფუტკრო ოჯახი უწმინდურად მიაჩნდათ, გაუწმინდურებულ ოჯახში რაკი ფუტკარი არ გაჩერდებოდა და იმ ოჯახს თავი მოებრებოდა, ყველა სიწმინდეს ინახავდა და უკულმართობას ერიდებოდა. ძველად გავალღობდით, გავწმენდდით, გავაკეთებდით სანთლის კვერს და სკივრში ჩავასვენებდით. ვერც თაგვი მიეკარებოდა და ვერც ჭიანჭველა, რომ დაგვჭირდებოდა, ამოვიღებდით, ბამბის ძაფს დავგრეხდით, პატრუქს გავაკეთებდით, სანთლის კვერს გავალღობდით, ჩამოვთლიდით, სანთელს ჩამოვქნიდით და ეკლესიაში ასე წავიღოდით.

აკაკის ამ სიტყვებზე მამამისი მოაგონდება, მისი ყვითელი სანთელი გაახსენდება და მისი ჭირვეულობის მიზეზს მაშინ მიხვდება.

ცნობილია, რომ ქვაგუნდის, ანუ მარგანეცის დამუშავებაზე საუბარს ჩვენში პირველად აკაკი წერეთელი წამოიწყებს და პირველ ნიმუშებსაც რუსეთსა და ევროპაში ის გააგზავნის. შავ ქვასთან დაკავშირებულია როსტომის ერთი უცნაურობაც.

როსტომის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში წერეთლებს ფრანგი ვაჭრები ბაზილი და პონშარი ესტუმრებიან ქალაქ ბორდოდან; შავ ქვას დაათვალიერებენ და დაღლილ-დაქანცულები წერეთლებს კარზე მოადგებიან. მასპინძლები სტუმრებს პატივს სცემენ და მერე მოასვენებენ. შუაღამე გადასული იქნება, აკაკის რომ ხმაური შემოესმება და სტუმრების ოთახიდან მამის ხმას გაიგონებს: „რას შვრებით, როგორ გეკადრებათო“? თურმე ფრანგებს ძილი გასტეხიათ, საუბარი პოლიტიკაზე ჩამოუგდიათ და ხმამაღლა კამათი მოსვლიათ. აკაკის მამას ჰგონებია, ჩხუბობენო და გასაშველებლად შესულა. სტუმრებს უცნაურსამოსიანი მასპინძელი რომ დაუნახავთ, შემკრთალან. აკაკი ამას რომ შეიტყობს, სიცილი აუტყდება, ფრ აკაკის მამას ბოდიშს მოუხდიან, მაგრამ როსტომი ფრანგებს მაინც აღარ ენდობა, დილაადრიან აკაკისთან შევა და ეტყვის: ფრანგები ბაღში გავიდნენ., დუელი არ გამართონო. მაგრამ აკაკი და როსტომი ფანჯრიდან დაინახავენ, ფრანგები რომ ხელიხელგადახვეულები ბრუნდებიან. მერე მათთან შევლენ და როსტომს წუხანდელი შემთხვევის გამო ბოდიშს მოუხდიან. როსტომს აზრი შეეცვლება და ეტყვის: მეც უკაცრავად ვარ, რომ უცებ შემოგეჭერით, თქვენც ისეთივე ტუტუცები მეგონეთ, როგორც ის გერმანელი, ერთხელ გუბერნატორმა რომ გამომიგზავნა და შემომითვალა: მეცნიერია, ბუნების გამომძიებელი, მიიღე და ხელი შეუწყეო. კი ვიფიქრე, ამ გამართულ ბუნებას რაღა გამოძიება უნდა, წუნს ვინ დასდებს-მეთქი, მაგრამ მიღებით მაინც მივიღე. გერმანელი მეტისმეტად ახირებული კაცი გამოდგა, გამარჯობას არ ამბობდა, სულ გაბერილი დადიოდა და არავის არაფრად აგდებდა. დილიდან საღამომდე ტყეში და მინდორში იყო. ყვავილებს კრეფდა და ჭიებს იჭერდა, არც იცინოდა, არც ხმას იღებდა. ხან წამოიძახებდა: „ია! იაო!“ (გერმანულად „დიახ, დიახო“), ხან კი „ნაინ! ნაინო!“ (გერმანულად „არა! არაო!“) ექვსი კვირა დარჩა, წასვლის წინ პატივი ვეცი, დიდძალი ხალხი მოვიწვიე, სუფრა გარეთ გავშალეთ, სტუმარი სუფრის თავში დავსვით და გაიმართა ლხინი. სტუმარი სულ იბღვირებოდა და ბოლოს, იმის სადღეგრძელოს რომ ვსვამდით, ზეზე წამოვარდა და მინდორში გაიქცა. მსახურები დავადევნე. თურმე ხატის პეპელას დასდევნებია. კოლოტივით გაიბერა და გაჯავრდა: „ხელი რად შემიშალეთ და იმისთანა პეპელა რად გამაშვებინეთო!“ ვეუბნები: „ბატონო, ფილოსოფოსს გეძახიან, პეპლების დევნა როგორ გეკადრებათ, ეგ სოფ ბავშვების საქმეა-მეთქი!“ ისე გამწყრალი წავიდა, არც კი გამოგვეთხოვებია. მერე გუბერნატორმა მითხრა: რა უყავით იმ კაცს, თავის წიგნში ცუდად რომ გიხსენებთ, პეპელა გამაშვებინესო. პეპლის დაჭერა რა დასატრაბახებელია, ჩვენში ყურებით ჭათვს იჭერენ და ისიც კი არაფრად მიაჩნიათ.

აკაკის მამა ამას რომ უყვება, მოხუცებული ბაზილი სიცილს ძლივს იკავებს, ახალგაზრდა პონშარი კი ხარხარებს. როსტომს მათი

მხიარულება მოეწონება და იტყვის: აი, სტუმრებიც ასეთი უნდაო. ფრანგები სუფრაზედაც კარგად მოილხენენ და სამშობლოს სადღეგრძელოსაც შესვამენ. სტუმრები და როსტომი ერთმანეთს ისე შეეჩვევიან, რომ ერთმანეთს სულ ხელებით ელაპარაკებიან. ბორდოელები წასვლას რომ დააპირებენ, აკაკის სთხოვენ, მამაშენმა, რახან მამულების პატრონი ეგ არის, პირობა მოგვცეს, რომ წლამდე დასამუშავებლად შავი ქვის მადანს სხვას არ გადასცემსო. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერ დავბრუნდებით, მაშინ პირობა ძალას დაკარგავსო. საქმე ხელშეკრულებაზე რომ მიდგება, როსტომი იტყვის: ეგ რა საჭიროა? მე ჩემს სიტყვას არ გადავალ და თქვენ თქვენი იცითო". მერე კი ულვაშებზე ხელს გადაისვამს, რაც ძველი წესით დიდი აღთქმა არის. აკაკი სტუმრებს ამას რომ აუხსნის, ულვაშებზე ბაზილიც ხელს გადაისვამს, პონშარი კი სიცილით იტყვის: „მე რომ ულვაში ჯერ არც კი მეტყობა, ხელი არ უნდა გადავისვაო?" მასპინძელი უპასუხებს: „ვისაც ჟულვაში სწამს, ის არც საულვაშეს უღალატებსო!" და ხელს გადაასმევინებს.

მთელი წლის განმავლობაში როსტომი თავის ფრანგებს მოუთმენლად ელოდება. კიდევ ერთი წელი გავა. ვისაც შავი ქვა ექნება, დამუშავებას დაუწყებს, როსტომი და აკაკი კი ბორდოელებს დაელოდებიან. ერთხელ აკაკის უფროსი ძმა დავითი მამას ეტყვის: „შავი ქვით ქვეყანა გაკეთდა, ჩვენ კი ფრანგებს ველოდებით, ფრანგებს გერმანელებთან ომი ჰქონდათ, ჩვენი ფრანგები იქნებ ომშიც დაიხოცნენო!" როსტომი უპასუხებს: „უთუოდ ასე იქნება, თორემ პირობას არ გადავიდოდნენ, ამიტომ პირს მათ უფრო ვერ გავუტეხთო. იმ კაცს თავისი ქვეყნისათვის თავი დაუდვია და იმ ქვეყნად რა პირით უნდა შევხვდეო?" მერე იკითხავს, იმ ქვეყნის კანონით მათი მემკვიდრეები ხომ შვილები არიან და მოვალეობა ხომ შვილებზე გადადისო? ძმები დაუდასტურებენ, ოღონდ ეტყვიან, იქ ულვაშების მემკვიდრეობა არ იციანო. არაო, მე მაინც ობლებს უნდა მოვუცადო, სანამ დაიზრდებიანო. ამას იტყვის და გაათავებს, სიტყვას ვეღარავინ შეუბრუნებს.

როსტომი მას შემდეგ რამდენიმე წელიწადს კიდევ იცოცხლებს და შავ ქვაზე ვინც არ უნდა მივიდეს, ყველას ამას ეტყვის: „საქმე სხვასთან მაქვს დაჭერილიო". სიკვდილის წინ აკაკის მიიხმობს და ეტყვის: „შვილო, ერთი ანდერძი მინდა დაგიტოვო და შემისრულე! სანამ ობლები არ დაიზრდებიან, შავ ქვას ნურავის გადასცემო!"

როსტომს ერთხელ ფეხი ეტკინება და მიზეზად ეგ ექცევა. აკაკი ქუთაისიდან ექიმს მოუყვანს, მაგრამ არაფერი ეშველება და 1876 წელს სულს განუტევებს. აკაკი მამას კვერეთის საგვარეულო სასაფლაომდე ფეხით გაჰყვება და იქ დაასაფლავებს.

### ილია და აკაკი. აკაკის სიტყვა თელავში. ილიას წერილი „ივერიაში". ლიტერატურული საღამო. დავით ფაღავას მოგონება.

ილია და აკაკი ახალგაზრდობიდანვე საქვეყნო საქმეში ერთმანეთს მხარში უდგანან, ერთად იბრძვიან, ერთმანეთს პატივს სცემენ და აფასებენ.

როცა ილია ენის გამო „მამებს" შეებრძოლება, აკაკი ილიას გვერდით დადგება. როცა ილია იტყვის: ქართველმა ხალხმა უნდა გამოიღვიძოსო, ხალხის გამოსაღვიძებლად ილიასთან ერთად აკაკიც ზარს შემოჰკრავს და მშობელი ქვეყნისა და პოეზიის სამსახურს თავს ილიასავით შესწირავს. ილიასაც და აკაკისაც ერთი ოცნება აქვთ — სამშობლოს თავისუფლება და ორივენი იმ მომავალ გმირზე ოცნებობენ, რომელიც მათ ოცნებას ფრთას შეასხამს.

როცა 1879 წელს პირველად შექმნილი ქართული თეატრის მუდმივი დასი დაიშლება, ილია აკაკისთან მივა და ეტყვის:

— კაცო, ეს თეატრი რომ აღარ გვაქვს, შენ რას იტყვი? როგორც იქნა, ხალხი თეატრს მივაჩვიეთ და ისევ უნდა გადავავიწყოთო?..

— აღარაფერი ეშველებაო? — შეეკითხება აკაკი.

— ეშველება, შენ თუ მოინდომებო. ქუთაისში ხომ ახერხებდი, აქაც დროებით სადმე სცენა გავმართოთ და შენ ითავე... რაფიელ ერისთავი ამხანაგად ზეყოლება და მეუნარგია მდივნად... მსახიობს ჯამაგირს მე გადავუხდიო...

აკაკი დასის ხელმძღვანელობას იკისრებს, შენობას იშოვის და




საქმეს გატაცებით შეუდგება. აკაკიმ იცის, ქართულ თეატრს რა შეუძლია. თეატრის სცენიდან ქართველები დედა ენას გაიგონებენ, იმ ენას, რომელზედაც რუსთაველი მუსიკობდა, თამარი მბრძანებლობდა და რომელიც ახლა ასე დამცირებულია... „თეატრის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დავინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი". აკაკი ამბობს, ქართულმა დასმა ეს იცის და ამდენ გასაჭირს იმიტომ ითმენსო.

1882 წელს, კახეთში რომ იმოგზაურებს და თელავში ადგილობრივი მოწინავე საზოგადოება სადილს გაუმართავს, აკაკი შესანიშნავ სიტყვას იტყვის და ილიას ასე ახსენებს:

ჩვენს სამშობლოში ფეხს ვერსად დავადგამთ, რომ მიწა წინაპრების ძვლებით გაპოხიერებული და მათი სისხლით დამბალი არ იყოს. პირში ლუკმას ვერ ჩავიდებთ, რომ ჩვენი მამა-პაპის ნაწილი არ ჩაგვყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლი არ ერიოს. ეს ლუკმა და წვეთი სიწმინდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე, წინაპართა ღვაწლს უნდა გვაგონებდეს და ჩვენც იმავე გზით მივდიოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, ოღონდ დღევანდელი დროების შესაფერისად, რადგან დღეს უფარხმალო ბრძოლაა, სადაც სისხლის ნაცვლად პატიოსანი ოფლი და ცრემლი უნდა იღვრებოდეს...

თქვენ ბრძანეთ, შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო. „ამის საწინააღმდეგოდ ვალდებული ვარ, მოგახსენოთ, რომ — ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი თხოვნა! — ეგ ხომ წყევლა იქნება!.. რასაც დღეს ვსჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ იქნება..."

დღეს სიხარულით ვხედავთ, რომ ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შენიშნული, ამიტომ მომავალი თაობისაგან მეტს მოვითხოვთ და მეტი მამულიშვილობა უნდა გამოიჩინონ. კახელები მუდამ მოწინავე რაზმში ყოფილან და ჩვენს დროშიც მეთაური და მოწინავე თქვენი შვილი ილია ჭავჭავაძეა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენთაგანი სიამაყით ახსენებსო...

თელავში წარმოთქმულ აკაკის სიტყვას ილია ჟურნალ „ივერიის" სექტემბრის ნომრის „შინაურ მიმოხილვაში" გამოეხმაურება:

სასიხარულოა, რომ ჩვენში წესად შემოდის, ერისთვის გარჯილ კაცს, ვისაც ერისთვის სამსახური გაუწევია, უშრომია და სიტყვით თუ საქმით თავის მამულს და თანამემამულეებს შესწევნია, პატივი სცენ და საჯაროდ მადლობა გადაუხადონ, ქართველობა თავის პოეტს პატივით დახვედრია, თავისი მადლობა და პატივისცემა სიტყვით გამოუცხადებია იმისათვის, ვინც ტკბილი და მგრძნობიარე სიტყვით ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ქართველის ყურს ატკბობდა, გონებას აფხიზლებდა და საქართველოს სიყვარულისათვის ქართველის გულს მართავდა. ამ სიყვარულის გაღვივებაში ბატონ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია აკაკი, რომ იღვაწა და თავისი ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლეშივე თავისი თვალით ნახა. ეს პატივისცემა საქართველოსა და ქართველის სიყვარულმა შობა და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის აკაკი წერეთელს თავისი ქნარი არაერთხელ დაუკვნესებია, თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი მშვენიერებით სავსე ქართული არაერთხელ აუმოქმედებია...

აკაკიმ რომ თელავში სიტყვა წარმოსთქვა, ამაზე მშვენიერი სიტყვა ქართულ ენაზე ჩვენ არ გვახსოვს... „ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო", უთქვამთ ბატონი აკაკისათვის: „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, უპასუხნია აკაკის: — რასაც დღეს ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო". დიახ, ხვალინდელი დღევანდელს, მერმისი აწინდელს უნდა სჯობდეს. აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ იმას, რაც დღეს არის. ჩვენ გვჭირია ამაზე ბევრად ძლიერნი, ბევრად მოქმედნი. გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც ქვეყნის სამსახურში მამას აჯობებს და რომელიც ჩვენს საყვარელ სამშობლოს ასე ეპირვება.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

„გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაიწერს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არაერთხელ დატკბობს ყურს და გრძნობას, და არაერთხელ გულს მოიცემს მამულიშვილობისათვის..."

ილიას ყველაზე უწინ აკაკი გაახსენდება 1886 წელსაც, როცა მთავრობა „დროებას" სამუდამოდ დახურავს და ქართველი მწერლები „ივერიის" გარშემო შემოიკრიბებიან. ილია ჟურნალს ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთებს, ქართველ მწერლებს ბარათებს დაუგზავნის და თხოვს მის ახალ გაზეთში ითანამშრომლონ. ხოლო აკაკის მისწერს: სხვებს რომ გავუგზავნე, ისეთი ბარათი, ვერ გავკადნიერდი და ვერ მოგწერე, რადგან ისინი სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. საკუთარი სურვილის გარდა მამულიშვილის მოვალეობამ მაიძულა ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვის გამორჩეული, განსაკუთრებული წერილი მომეწერა და მეთხოვნა, ჩვენი გაზეთი შენი ნიჭის ნაშუქით დაამშვენო... წერილი აქამდე იმიტომ დაგიგვიანე, რომ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდი, დღეს შევიტყვე, რომ ქალაქში ჩამოსულხარ და კიდეც გწერ. უდიდესი სურვილი მაქვს, რომ შენმა სახელმა ჩვენი გაზეთი დაამშვენოს და უშენობა ჩემი გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. დარწმუნებული იყავი, რომ ითანამშრომლებ თუ არ ითანამშრომლებ „ივერიაში", ერთი გულწრფელი მადლიერებული და დამფასებელი შენი 25 წლის ღვაწლისა ყოფილვარ, ვარ და ვიქნებით.

აკაკი ილიას მაშინვე გაუგზავნის ფელეტონს, რომელიც თავდება ლექსით „ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა", და ამის შემდეგ „ივერიაში" მუდმივად ითანამშრომლებს.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ილია ჭავჭავაძის „ივერიის" რედაქციის დარბაზს აკაკის დიდი სურათიც ამშვენებს.

ილია და აკაკი ლიტერატურულ საღამოებზედაც ხშირად ერთად გამოდიან, როგორც დავით ფალავა იგონებს. ქართული თეატრის შენობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამოზე ლექსს ჯერ აკაკი წაიკითხავს, შემდეგ ილია უნდა გამოვიდეს. ილიამ ლექსის დაზეპირება არ იცის. ამიტომ ახალდაწერილი ლექსი იმ რვეულში უწერია, თან რომ მოუტანია. აკაკი თურმე რვეულიდან ფურცელს ამოხევს. ილია სცენაზე გამოვა, რვეულს გამოიტანს და ლექსის პირველ სტრიქონს რომ იტყვის, მერე რვეულში ძებნას დაუწყებს ლექსს, მაგრამ ვერ ნახავს და სცენიდან გოგა ყიფშიძეს დაუძახებს: ბიჭო, გოგა, რვეულიდან ლექსი ვინ ამოხია, ამას უთუოდ აკაკი იზამდა. ამ დროს ფურცლით ხელში აკაკიც შემოვა.

ამ მოგონებიდან ჩანს, აკაკის და ილიას თუ რა მეგობრული ურთიერთობა ჰქონებიათ.

დავით ფალავა კიდევ ერთ საყურადღებო ამბავსაც იგონებს:

ქაშვეთის ეკლესიაში რაფიელ ერისთავის პანაშვიდია: ეკლესიის ეზო და თვით ეკლესია ხალხს ვერ იტევს. უეცრად ეკლესიის გალავანთან შავცხენებშებმული ეტლი შეჩერდება. ეტლიდან დაბალი ტანის კარგად ჩაცმული შუახნის კაცი გადმოვა, კრაველის ლამაზი ქუდი ახურავს.

ვიღაც წამოიძახებს: ილიაო! ეს ზღვა ხალხი უნებურად ეკლესიის გალავნიდან ეკლესიის კარამდე შუაზე გაიყოფა და ყველა ქუდს მოიხდის. ილია ჩქარი ნაბიჯით ეკლესიაში შევა.

აკაკი იმხანად თბილისში არ არის და პანაშვიდს ვერ ესწრება. ამ ამბავს, თუ როგორ შეხვდა ხალხი ეკლესიაში ილიას, აკაკის დავით ფალავა უამბობს. ამას რომ მოისმენს, აკაკი კარგა ხანს ხმას არ ამოიღებს, მერე კი იტყვის: „დიახ, ილია დიდი კაცია..."





## რა განძი გვქონია



ზურაბ სარჯველაძე,
პროფესორი

# საწერი და საწყოები

ძველ ქართულ ხელნაწერებში საწერი იარაღების აღმნიშვნელად გვხვდება: **ალსაწერელი, საწერელი, კალამი.** ამათგან საწერელი ქართულია, კალამი კი — ბერძნულიდან ნასესხები. საწერელი ნაწარმოებია წერ ზმნური ძირიდან სა-ელ კონფიქსის საშუალებით. შემდგომში საწერელი აღნიშნავს არა კალამს, არამედ მთელ საწერ მოწყობილობას, ამ მნიშვნელობით დასტურდება ეს სიტყვა შატბერდის კრებულში (976-978 წწ.) დაცულ „მოქცევაი ქართლისაი"-ს ტექსტში:

„მოიხუენით ალსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ ცხოვრებაი ჩემი" (328. 22-23). „მო-ხოლო-იხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი, და იწყო სიტყვად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს" (იქვე, 328, 28-30).

ორიგინალურ ქართულ ძეგლთაგან კალამი პირველად „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული".

ერთ-ერთი გადამწერი ასე ევედრება ღმერთს: „ღმერთო, უშუელე მელანსა და კალამსა" (სახარება, XV ს.).

კალამს, როგორც წესი, ლერწმისაგან ამზადებდნენ, გამოჰრიდნენ. კალმის იმ ნაწილს, რომლითაც წერდნენ, კალმის წვერი ერქვა. ერთ ხელნაწერში (კრებული, XVII ს.) ნათქვამია: „ვაი მე, ძმანო, კალმის წვერს ბეწვი მოჰყუა და მან წაშალა. ნუ დამგმობთ".

იხმარებოდა სპეციალური კალამი, რომელსაც წვრილად დასაწერად იყენებდნენ. ამ კალამს **ნოტრის კალამი** ერქვა. ეს ტერმინი გვხვდება ანტონის გრამატიკის მინაწერში. ერთმანეთისაგან სხვაობდა **„ხუცური"** და **„მხედრული"** კალამი.

კალმების შესანახავად ჰქონდათ საკალმე. ერთ-ერთი გადამწერი ამბობს: „საკალმე მარანსა შინა ჩამივარდა და კალმები შემეშალა, წუ/ე/რი დაილეწა" (გამოკრებილი ოთხთავი, XVIII ს.).

მოგვიანებით კალამს ფრინველის ფრთისაგან ამზადებდნენ. ძირითადად იყენებდნენ ბატის ფრთას. ბატის ფრთა ამ მნიშვნელობით პირველად XVIII ს-ის I მესამედში დასტურდება: „კალმად ბატის ფრთა მქონდა" (ონანა მდივანი, „ბარამიანი"); „კალამს მიზიდავს ფრინველი, ოდეს ფრთა დავარდებისა" (იქვე).

ძველ საქართველოში ტერმინი **მელანი,** ჩვეულებრივ, იხმარებოდა შავი მელნის მნიშვნელობით. წითელ მელანს უწოდებდნენ **წითელს** ან **სინგურს.**

**მელანი** ბერძნული სიტყვაა და შავს ნიშნავს. **შავიც** იხმარება მელნის მნიშვნელობით 979 წელს გადაწერილი სინური ოთხთავის შემცველ ხელნაწერში: „სადა წითელი ზის, ყოველსა ნაკი აქუს, და შავსა არ აქუს ნაკი". X საუკუნის შუა წლებში გადაწერილი ლიტურგიკული კრებულის გადამწერი ამბობს: „ესე ორ-ორი ფსალმუნი დამიწერია, შენ თუ დაიზარებდე ერთაი, რომელაი გინდეს, თქუი, რომელსა ზედა ნიშნად დამისუამს შავითა ისარი".

**სინგური,** ან **წითელი** იხმარებოდა განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მკითხველის ყურადღების გამახვილება იყო აუცილებელი: „და სადა სახარებისა თავი არს, დასაწყებელი ესე ქანწილი ზის ნიშნად სინგურითა, და სადა დაესრულებოდის ბოლოი, ჯუარი ზის სინგურითავე (ოთხთავი, 1074 წ.).

სინგურს სპეციალური რეცეპტის მიხედვით ამზადებდნენ, ვახტანგ VI წერს: „მოიტანე, რაერთიცა გინდოდეს ვერცხლისწყალი. იმის წონის გოგირდში ლესე, რომ აღარა ჩნდეს. მერმე ორი წონა ზალი, ერთი წონა მარილი, ორივ კარგად დამწვარი, დანაყე და იმ ვერცხლისწყლისა და გოგირდისა ეს ჰქენ წონა, და ერთმანეთში გალესე. მინაში თუ ფიალაში ჩაყარე, ცეცხლი მიეც, მანამდინ ზეით ამოვიდეს. რა ამოვიდეს, ნამწვი წამალი ასწონე. რაც დაჰკლებოდეს, თავის პირველის წონა არჯასპი და მარილი გაურივე. ამოსული სინგური და ის კიდევ ერთმანეთში გაურივე, გალესე. კიდევ თასყიდი ჰქენ. თუ კაი სინგური იყოს, ის არის, თუ არა და, მანამდის ასე ჰქენ, კარგი შეიქმნას (ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნის, თბ., 1981, გვ. 992).

წითელ მელანს აგრეთვე უწოდებდნენ **ზანდუკს** ან **კინაბარს:**

„რომელი-იგი ზანდუკითა არს, აუწყებს თითოეულისა წიგნისა წამებით განწესებასა" (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 162).

**სინგურის** დასაწერად სპეციალურ კალამს იყენებდნენ. მას **სასინგურე კალამი** ერქვა: „აქა სასინგურესა კალამსა წუერი მომილეწეს", — ამბობს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერთი ხელნაწერის (გულანი, XV ს. I ნახ.) გადამწერი.

ძალზე საინტერესოა XI საუკუნის ხელნაწერის (გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა კრებული) გადამწერის მიერ აშიაზე გაკეთებული მინაწერი: „თავები დამიტოებია, ოქროითა დასვი". როგორც ჩანს, **ოქროთი** დასმა (ანუ დაწერა) განსაკუთრებულ ხელოვნებას მოითხოვდა.

მელნის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ტერმინად იხმარებოდა აგრეთვე **წამალი.** იოანე-ზოსიმეს მიერ ნარედაქციევი ლიტურგიკული კრებულის (X საუკუნის შუა წლები) ანდერძში ნათქვამია: „ზედა-დამიც ნიშნად შავითა წამლითა ისარი, გინდა შავითავე წამლითა მასკულავი".

უკვე XI-XII საუკუნეებიდან მელანი ეწოდება არა მარტო შავი ფერის მელანს, არამედ ყოველგვარ მელანს (შავს, წითელს, ლურჯს, მწვანეს, ყავისფერს...). ი. ჯავახიშვილის აზრით, ამ მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში": „აწ მე მელნითა ოდენ ცხოველითა სიტყუა გამომისახავნ" (აგიოგრაფიული ძეგლები, II, თბილისი, 1967 წ.).

**მელნის** შემზადება სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა. ბუნებრივია, კარგი მელანი აუცილებელი შემადგენელი ელემენტი იყო წიგნის წერისას. ამიტომაა, რომ ძველი გადამწერები ხშირად მიუთითებდნენ ხოლმე მელნის ავკარგიანობის შესახებ. მელანს მიმართავენ, როგორც ცოცხალ არსებას, ღმერთს შესთხოვენ მელნის სიკეთეს, წუხან მელნის უვარგისობის გამო და ა. შ. დავიმოწმებთ ერთ მინაწერს: „მელანმა მიზნევა, და ნუ დამწყევთ" (გულანი, 1773 წ.).

ახალი მელანი საწერად უვარგისი იყო. 1735 წელს გადაწერილი ერთი კრებულის გადამწერი გულისტკივილით ამბობს: „ახალი მელანი იყო და ამისათვის გავარდა".

თუ ქაღალდი არ იყო მაღალი ხარისხისა, მელანი **გაირთობოდა** (გაიშლებოდა) და ნაწერი უსიამოვნო სახეს მიიღებდა. ერთი გადამწერი ამბობს: „წყეულმან ქაღალდმან გაირთო და ხელი წამიხდინა".

**ზოგ** ხელნაწერში გვხვდება სპეციფიკური ნიშნები: **ქანწილი, ჯუარი, ისარი, დიდი ნიშანი, მასკულავი, ვრცელი** და სხვ.

XI-XII საუკუნეებიდან იმ ხელნაწერებში, რომლებიც შეიცავენ ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვათა ნაწერებს, დასტურდება ნიშანთა გარკვეული სისტემა, რომლის დანიშნულებაა, მკითხველს მიაწოდოს დამატებითი ცნობები ძირითადი ტექსტის შესახებ ან განუმარტოს ესა თუ ის ლექსიკური ერთეული.





# გალობა

ნინო გეზარაშვილი

მხატვარი
თინა კრაჭაშვილი

ზაფხულობით ხშირად მივდიოდი ზემო უბანში. იქ ჩვენი ნათესავები ცხოვრობდნენ. ჩემი ტოლი ბავშვები ჰყავდათ და მიყვარდა იმათთან თამაში.

ჯერ ხევში ჩავიდოდი, მერე იქიდან ფერდაზე მიმავალ ვიწრო ბილიკს დავადგებოდი. მივდიოდი ნელა და თანდათან მაღლა-მაღლა მივიწევდი. ნახევარი გზაც არა მქონდა ხოლმე გავლილი, რომ შევჩერდებოდი. იქ, ბილიკის პირას, ერთი ბებერი კაკალი იდგა, იმ კაკლის ძირას კი კარგა მოზრდილი ქვა იდო. ალბათ ვიღაცამ დადო, რომ აღმართზე ასვლისას გრილოში შეესვენა. ქვაზე მეც მიყვარდა ჩამოჯდომა. კარგი იყო იქ ყოფნა, გამუდმებით უბერავდა ზაფხულის ნიავი და გრილოდა. თანაც სიჩუმე იყო რაღაცნაირი, იდუმალი.

ერთხელაც ის იყო, გზა უნდა გამეგრძელებინა ჩვენი ნათესავებისაკენ, რომ საიდანღაც უცნაური ხმა შემომესმა. ბილიკის მეორე მხარეს, კაკლის პირდაპირ, ასკილისა და მაყვლის ბუჩქების იქით, დაბალი სახლი იდგა, ქართული კრამიტით გადახურული. მე კარგად ვხედავდი იმ სახლის საჩეხის ერთ კუთხეს, ხმაც სწორედ იქიდან მოდიოდა.

საჩეხში იმ სახლის პატრონი, მაღალი, შავგვრემანი კაცი მოჩანდა. ეს დავით მასწავლებელი იყო. იქ სხვებსაც მოვკარი თვალი, ისინი კი ჩვენი სკოლის მოზრდილი მოსწავლეები იყვნენ. ალბათ საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვათ და ახლა დავით მასწავლებელი ამეცადინებდათ. მაგიდასთან იდგა, „ვეფხისტყაოსნიდან“ ნაწყვეტს უკითხავდა ბავშვებს:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჯდა მტირალი წყლისა პირსა“.

ეს სტროფი ნელა, დინჯად წაიკითხა. მერე მომდევნო სტროფზე გადავიდა:

„მას ტანსა კაბა ემოსა,
გარე-თმა ვეფხის ტყავისა“.

ეს კი სულ სხვანაირი ტონით ითქვა, უფრო აჩქარებულად, ზეაწეულად. კითხულობდა და თან ხელს აყოლებდა თავის ხმას. ასწევდა ზემოთ, დაუშვებდა, ასწევდა, ისევ დაუშვებდა. ზოგჯერ ისეთნაირად აუმაღლებდა ხმას ან დაუდაბლებდა, რომ სიმღერა გამოდიოდა. თუმცა მე უფრო სხვა რამეს მაგონებდა, მაგრამ ვერ გამომეცნო, რა იყო. კიდევ კარგად დავუგდე ყური, გულდასმით, და მივხვდი, ეს გალობა იყო, ნამდვილი საეკლესიო გალობა!

როცა დავით მასწავლებელმა ლექსის კითხვა ჩაათავა, ახლა ბავშვებს წააკითხა სათითაოდ. მაგრამ რა შედარებაა, მე დავით მასწავლებლის წაკითხული უფრო ძალიან მომეწონა.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე მივდიოდი ზემო უბანში. როცა კაკალთან მივიდოდი, უსათუოდ ქვაზე ჩამოვჯდებოდი და სულგანაბული ვუსმენდი დავით მასწავლებელს.

ერთხელაც წავედი, ისევ იმ ქვაზე მოვიკალათე და ველოდები სანატრელი ხმის გაგონებას. მაგრამ სად არის! ჩამიჩუმიც არ ისმის. კისერი წავიგრძელე და ისე გავიხედე საჩეხისაკენ. იქვე დგას მაგიდა, გარშემო შემოწყობილი სკამებით, დავით მასწავლებელი და მისი მოსწავლეები კი არა ჩანან. კარგა ხანს ველოდე, ბოლოს ვთქვი:

„ალბათ დღეს მეცადინეობა არა აქვთ-მეთქი“, და წავედი.

იმ საღამოს ჩვენს უბანში ერთმა მეზობელმა ქალმა ამბავი მოიტანა:

„გაიგეთ, ხალხო, წუხელ დავით მასწავლებელი წაიყვანესო!..“

მაშინ შვა-ბნელი ოცდაჩვიმეტი წელი იყო, მივხვდი, რასაც ნიშნავდა იმ ქალის ნათქვამი და დავღონდი, შემეცოდა მასწავლებელი, ლამის ვიტირე.

გავიდა წლები. გავიზარდე და მეც მასწავლებელი გამოვედი. ერთ დღეს კლასში „ვეფხისტყაოსანი“ ავხსენი. ახლა საზეპირო ნაწყვეტი უნდა წამეკითხა ბავშვებისთვის. წიგნი გადავშალე, ვკითხულობ, თან ვცდილობ, სწორედ ისე წავიკითხო, დავით მასწავლებელმა რომ იცოდა. მაგრამ ვგრძნობდი, არ გამომდიოდა, დავით მასწავლებელი სულ სხვანაირად კითხულობდა — ლამაზად, მუსიკალურად.



## ნიკორწმინდა

წელს პირველად ვნახე რაჭა — ნიკორწმინდის სამშობლო.

მოხაზული გუმბათი და წახნაგოვანი ქონგურები. გუმბათზე — ოქროსფრად მოელვარე ჯვარი. თვალისმომჭრელად რომ ბრჭყვიალებს საღამოს ბინდში.

ბინდი ეპარება ნიკორწმინდას და ვერცხლისფერი შარავანდედით იმოსება მისი გუმბათი.

რამდენი სანთელი დაღვენთილა ამ გამოხუნებული ფრესკების წინ, რამდენი ლოცვა მოუსმენია სულგანაბულ კედლებს, რამდენჯერ შეხებია მსახვრალი ხელი ჯვარს ჩამოსახსნელად და მაინც — ნიკორწმინდა დგას.

მართლაც, რა ხელმა ააგო ნიკორწმინდა, რამ შეადუღაბა კედლები ასე — არც ერთი ბზარი, არც ერთი სუსტი ადგილი!..

ნიკორწმინდის ფესვები ღრმად გატოტვილა მშობლიურ მიწაში, თითქოს არავისაც არ აუგია ნიკორწმინდა. იგი აქ იდგა დასაბამიდან, იდგა წარსულისა და მომავლის გზაგასაყართან.

ბნელში ტაძრის სილუეტი იკვეთება, ტაძრიდან ხმადაბალი ვედრება ისმის, ვიღაც ლოცულობს. უფალს ავედრებს საქართველოს. იწვის, იღვენთება ჩამოქნილი სანთელი. და ნიკორწმინდა დგას დაფიქრებული, წარსული და მომავალი საქართველოს ქებად და დიდებად.

ნანა აკობიძე,
ცაგერი, ისუნდრის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

### დ ე დ ა ს

რამდენი ფოთოლიც დასცვივდეს
ბებერი ჭადრის ხეს,
რამდენი ფიფქიც დასცვივდეს
კავკასიონის მთებს,
რამდენი იაც გამოჩნდეს
ამ ყვავილობის თვეს,
იმდენ გაზაფხულს დაესწარ,
იმდენ ბედნიერ დღეს!

მები ქუმსიშვილი,
ქარელი, ბრეთის საშუალო
სკოლა, X კლასი.

### მე და წვიმა

ღამეა...
წვიმს და მე მიხარია,
რომ ღამე მარტო აღარ ვიქნები.
ზოგს, იქნებ, წვიმა
წყალი ჰგონია,
ცით ჩამოსული, სხვა არაფერი,
მაგრამ იგია ჩემთვის მეზღაპრე,
ოქროპირი და ვერცხლისთმიანი.
ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე
მე და ის...
ვსაუბრობთ ორი ადამიანი!

მანანა ზედგინიძე,
ქარელი, თამარაშენის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

1/ѴI - 80



„დ ე დ ო ფ ა ლ ი"
მზია ზედგინიძე, 6 წლის.
ასპინძა, სოფელი ძველი.

### გადავარჩინოთ საქართველო!

უკიდეგანო ცას,
უკიდეგანო ზღვას
და ზეატყორცნილ მთებს,
თოვლი რომ ადევს ზედ,
უსწორმასწორო გზას
და წყლის ზარიან ხმას
აშრიალებულ ტყეს,
გადაჭრელებულ ველს
თუ არ მიხედე შენ,
თუ არ მიხედა მან,
ისევ წამოვა მტერი,
ჩამოიქცევა ცა.
თუ არ ილოცე შენ,
თუ არ ილოცა მან,
თუ არ გამრავლდი შენ,
თუ არ გამრავლდა სხვა,
მაშინ იცოდე ეს —
ნუ მიადგები ღმერთს.
შენ უნდა იყო მხნე,
ის უნდა იყოს მხნე,
რომ საქართველოს დღე
გადავარჩინოთ ჩვენ!

ნონა ჟურაშვილი,
ოჩამჩირე, არადუს
საშუალო სკოლა.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი



„ბ ა ლ ე რ ი ნ ა"
ლია ცაგუტაშვილი,
წნორი, I საშუალო
სკოლა, IV კლასი.

# ქართული ცხენოსნური თამაშები

გაბრიელ ბარჯაძე

## ცხენის წელიწადი

1990 წელი ცხენის წელიწადია. ამ უჭკვიანეს ცხოველთან ქართველ კაცს ბევრი რამ აახლოებდა. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ცხენოსნური თამაშების მრავალი სახეობა.

ჩვენ უფლება არა გვაქვს, დავივიწყოთ ძველი ქართული ტრადიციები. სპორტის ყველა ქართული სახეობა თუ თამაში უნდა აღსდგეს, აღორძინდეს, განახლდეს.

გავეცნოთ ჩვენი ეროვნული ცხენოსნური თამაშების ზოგიერთ სახეობას.

## მარულა

მარულა ქართული ცხენოსნური სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა.

მარულაში მონაწილე ცხენოსნების რბოლის ასპარეზი 25-30 კილომეტრია. ამ გზის სწრაფი გარბენა ცხენისაგან დიდ გამძლეობას მოითხოვს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხენის წინასწარ შერჩევასა და მომზადებას, რაც მარულის დაწყებამდე 2-3 თვეს გრძელდება...

ცხენებს წვრთნიდნენ საკმაოდ პრიმიტიულად. პერიოდულად მუცლამდე აყენებდნენ წყალში, შემდეგ აფარებდნენ თბილ საფარველს, რათა ცხოველი გაოფლიანებულიყო. ცხენის სიმკვირცხლისა და ამტანობის გასავითარებლად მას სისტემატურად ავარჯიშებდნენ დიდ დისტანციაზე, ამასთან, თანდათან ზრდიდნენ მანძილს.

ქართული ცხენის ასეთი გამოცდა კიდევ ერთხელ მოწმობს მის განსაცვიფრებელ გამძლეობას. მარულაში უმთავრესად იყენებდნენ დასავლეთ საქართველოში — მეგრული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — თუშური ჯიშის ცხენებს.

ცხენისა და მხედრის გამოცდას ამ სახეობის თამაშში დღესაც ბევრი



გულშემატკივარი ჰყავს. ამჟამად მარულის რბოლის მანძილი შემცირებულია რამდენიმე კილომეტრით.

## რადი (რადრაბაგანი)

ეს ცხენოსნური თამაში ცხენბურთის ერთ-ერთი სახეობაა. მის აღწერასა და წესებს ლექსად გვაძლევს მეფე-პოეტი თეიმურაზი თავის ნაწარმოებში „თეიმურაზიანი“:

„ერთი არის სხვა ბურთობა,
რადრაბაგანს ეძახიან,
გადრის ბურთის უფრო ესე
ზნეობაში ჩააგდიან,
ბევრს კი არა, სამ-ოთხს კარგსა
მობურთალსა შეადრიან,
ოთხისათვის სათამაშოდ
ბურთი მიწას გააგდიან.
ის არის, რომე ცხენ-მალე
ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეიგდოს მან მაღლა
ცხენისა თამაშობითა.
როს ჩამოვიდეს, ხელ-ფიცხად
მოუხდეს კაის ცოდნითა.
რა ბურთი შეხტეს, შემოკრას
ხელ-რადათ მაღლა ტყორცნითა.
ბურთი შეიგდოს, ეცა:ოს
მერმე ფეშრების ქნასა — და,
სანამ ჩამოვა, დაასწრებს
ჩოგნისა შეგდებასა — და,
ჩოგნისა ქათალ-მალაყი
კვერამდინ დაასწრისა — და,
ის ჩაუვარდეს სამჯერა,
ზედი-ზედ თუცა მკრავსა — და.
ორი რადათა მესამედ
უნდა წინ ამოკვრანით,
უნდა დაასწრას ამოკვრას
ქიჩილოვიას ქნანით,
ესეები ქნას, შესძახის
„ჰეიე-ჰევიას“ ხმანით,
დასრულდა ეს, ხომ დრო არის
აწ სხვის ზნეობის თქმანით“.

თეიმურაზის თქმით, ეს თამაში უფრო საინტერესოა, ვიდრე ცხენბურთი. მასში მონაწილეობს სამი ან ოთხი მხედარი. თამაში ინდივიდუალურია. თამაშის შინაარსი ასეთია: როდესაც ბურთი გავარდება მოედანზე, მხედართაგან ვინც ადრე მოასწრებს, ის იღებს ბურთს ჩოგნით და სწრაფი მოძრაობით აგდებს ჰაერში; თუ რომელიმე მოთამაშე მხედართაგანმა აგდებული ბურთი ჰაერში სამჯერ ზედიზედ დაიჭირა, იგი გამარჯვებულად ითვლება. სათამაშო მოედნის სიგრძე 50-60 მეტრია, სიგანე — 40-50 მეტრი.

## ცხენოსნური ლელო

ცხენოსნურ ლელოს, ე. ი. ბურთის გატაცებას ცხენით, საქართველოში უძველესი დროიდან თამაშობდნენ. ამ ცხენოსნური თამაშისთვის იქმნებოდა ორი, რიცხობრივად თანაბარი, მოწინააღმდეგე გუნდი. ლელო ეწყობოდა რაიმე დღესასწაულის აღსანიშნავად. ინიშნებოდა თამაშის ადგილი, განსაზღვრული მანძილი; ზოგჯერ ერთი სოფლიდან მეორემდე



მხედრებს უგზო-უკვლო ადგილებში ქენება და მდინარეთა გადაცურვა, ღობეებზე გადახტომა უხდებოდათ. გუნდის წევრები ცდილობდნენ მოწინააღმდეგე გუნდისათვის ბურთის წართმევას. გამარჯვებულად ითვლებოდა ის გუნდი, რომელიც მოწინააღმდეგის კარში — მაყაში — ბურთს ჩააგდებდა და მაყაში ცხენით გაირბენდა.

**თამაშის წესები:** ცხენოსანთა ორი გუნდი ექვს-ექვსი მხედრის (ხან მეტის) შემადგენლობით გამოდის მოედანზე და ეწყობა ერთიმეორის გასწვრივ. ორივე გუნდიდან გამოდის თითო მხედარი. მსაჯის ნიშანზე ისინი ნავარდით გაიქცევიან ბურთისაკენ, ვინც მოასწრებს ცხენდაცხენ ბურთის აღებას, იგი მოწინააღმდეგის კარისაკენ მიაქვს. ბურთის მიწიდან აღებისთანავე, ისევ მსაჯის ნიშანზე, ორივე მოწინააღმდეგე მხარის სხვა მხედრები ჩაებმებიან თამაშში და ეხმარებიან ბურთის გატანაში თავიანთი გუნდის იმ მხედარს, რომელმაც ბურთი პირველად აიღო. ამრიგად, მოწინააღმდეგე მხედრები ცდილობენ, ერთმანეთს წაართვან ბურთი ცხენდაცხენ და გაიტანონ ლელო. საბრძოლო მოედანი აღინიშნება სათანადო შემოხაზვით, მაყები ორივე მხარესაა დადგმული.

მიწაზე დავარდნილი ბურთი მხედარმა ცხენდაცხენ უნდა აიღოს, აკრძალულია ცხენიდან ჩამოხტომა და ბურთის ისე აღება. მხარეების შეთანხმებით, დასაშვებია შეჯიბრების დროს მათრახის ხმარება.

მოედანი 1500 მეტრის სიგრძისა და 1000 მეტრის სიგანისაა. მხარეების შეთანხმებით, მოედნის ფართობი შეიძლება გაიზარდოს.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ ბურთს გაიტანს ლელოში.

## მკერდაობა

მკერდაობა აღწერილია ქართული მწერლობის ერთ-ერთ უძველეს ძეგლში, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში".

ეს თამაში უძველესი დროიდანაა ცნობილი, განსაკუთრებით — დასავლეთ საქართველოში. მოედანზე, სადაც ეწყობოდა ასპარეზობა, მუსი-



კის თანხლებითა და მაყურებელთა წამქეზებელი ყიჟინით აბჯარ-აბგარით შემოსილი მხედრები ცხენდაცხენ მიჰქროდნენ ერთმანეთისაკენ, რომ მოწინააღმდეგის ცხენი დაეძლიათ. ძლეული მოწინააღმდეგე სხვა ცხენზე გადაჯდებოდა ხოლმე. გამარჯვებულად ითვლებოდა ის მხედარი, რომელიც ყველაზე მეტ ცხენს გამოიყვანდა მწყობრიდან.

**თამაშის წესები:** თამაშის ჩასატარებლად შემოიხაზება 12 მეტრის სიგრძისა და 6 მეტრის სიგანის ტერიტორია. შუაში გატარებულია ხაზი. ეს ტერიტორია საბრძოლო მოედანს წარმოადგენს. თამაშის მონაწილე მხედრები ნავარდით შემოდიან და განლაგდებიან ბრძოლისათვის შემოხაზული მოედნის გარეთ, 20-25 მეტრის მოშორებით. მოედნის შუა ხაზთან შემოდის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხედარი. ისინი დგებიან პირისპირ და მსაჯის ნიშანზე იწყებენ თამაშს.

ბრძოლა იწყება შუა წრიდან, ცხენების შეტაკებით. ცხენი, რომელიც დასძლევს, ე. ი. უკუაგდებს ან გვერდით გადააგდებს მეორე ცხენს და, ამრიგად, იძულებულს გახდის მას, მოედნიდან გავიდეს, გამარჯვებულად ითვლება. თუ ცხენი საბრძოლო მოედანზე წაიქცა, წამქცევს ეწერება მოგების ქულა. თუ ბრძოლის დროს მხედარი საბრძოლო მოედანზე ცხენიდან გადმოვარდა, მას წაგების ქულა ეწერება. თამაშის დრო განისაზღვრება 5-6 წუთით. იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლა დამთავრდა მხოლოდ წრის შიგნით და არც ერთი მხედარი წრის გარეთ არ გასულა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც მეტი მომგებიანი ქულა დააგროვა.

აკრძალულია მხედრის შეხება ხელით ან ფეხით.

## თარჩია

თარჩიაც ცხენოსნური თამაშის ძველი ქართული სახეობაა. თამაში ეწყობა სასპარეზო მოედანზე, გარკვეული დროის მონაკვეთში შემდეგი წესით: ჯერ გამოიწვევენ ამ თამაშის მსურველთ, შემდეგ დამსწრეთაგან

### ანზორ აგულაშვილი

## კვლავ ძველეჭურაზე

გულმოცემულად მისდიე
შენს ვარდ-ეკლიან გზას.
წამსვე გაგთელავს —
ცხოვრებას
თუ მოუხუჭავ თვალს.
ზოგჯერ ოცნება იძალებს,
შეაშტერდები ცას.
უფრო დათბება — მოკეთეს
თუკი შეუწყობ ხმას.
დღეს დღე მოჰყვება,
წელი-წელს,
ვითარ წესი აქვს ჟამს.
წინაპრის ანდერძს
ერთგულობ,
როცა მომავლის გწამს,
მოყვრის თანდგომა
მოყვრისგან
დღეს უფრო მეტად ხამს.
ამ გზიდან არ გადუხვიო,
ბეჯითად სდიე მას...
რა შეედრება სიტკბოთი
მამულის მწარე კვამლს,
მაისის ცისფერ შხაპუნას,
მწიფე ოქტომბრის დარს,
მზის ამოსვლისას ბალახზე
მძივად გაბნეულ ცვარს,
ალალანებულს,
ცაგახსნილს,
ლურჯად დაფენილ ზვარს...
რა შეედრება კურთხეულ
ამ განახლების ქარს.
შიში,
ბეზღება,
წამება
ველარ შეგვიმტვრევს კარს,
შენს თავს
შენადვე გაყუდნებს,
ძირს — ფესვით მოსთხრის ნარს.
თუმც მტერი, ქვეგამხედვარი,
ჯერ ისევ გერტყმის გარს,
სიკეთის გზა არ დააგდო,
სიტკბოთი სძლიე მწარს,
ბასრია იგი მახვილი,
სიკეთე მთებსაც სძრავს.
შენ მარტო
დუშმანს კი არა,
უნდა აჯობო თავს.
ვისაც რა უნდა,
ისა სთქვას,
წისქვილმა უნდა ფქვას.

ერთ-ერთ ქალიშვილს ნიშნავენ მსაჯად. ქალიშვილი აირჩევს ერთ მონაწილე ვაჟს და აბარებს მას ფერად მანდილს, რომელსაც შემოახვევს მარჯვენა მკლავზე ან კისერზე.

მანდილის მიმღები, რომელსაც თარჩია ეწოდება, ხდება მიზანი სამი მხედრისა, რომლებიც ცდილობენ ჩამოაგლიჯონ მას მანდილი, ხოლო თარჩიას ამოცანაა, მანდილი მიუტანოს და ჩააბაროს მსაჯ ქალიშვილს.

თარჩია და მისი მდევარი სამი მხედარი ერთმანეთსა და ქალიშვილს (მსაჯს) შორდებიან 100 მეტრის მანძილზე და მსაჯის ნიშნისთანავე იწყება თარჩიას დევნა. იმ შემთხვევაში. თუ თარჩია მშვიდობით მიაღწევს მსაჯ ქალიშვილამდე, ჩაითვლება გამარჯვებულად და მსაჯი მას მანდილით აჯილდოებს. ხოლო თუ თარჩიას მანდილს წაართმევენ. თამაში წყდება. მანდილის წამრთმევი თვითონვე იქცევა თარჩიად. დაიმაგრებს მანდილს და თამაში კვლავ გრძელდება იმ ადგილიდან. სადაც შეწყდა.

თამაშის განახლებისას ყველა მდევარი შორდება თარჩიას დაახლოებით 50 მეტრის მანძილით. თამაში გრძელდება მსაჯი ქალიშვილის მანდილის ჩაბარების მომენტიდან ან დანიშნული დროის მიხედვით. თამაში შეიძლება ჩატარდეს გუნდებს შორისაც. თარჩიას გამომყვანი გუნდი, რომელიც კარგავს მანდილს, ჩაითვლება წაგებულად, ხოლო მოგებულია ის თარჩია. რომელიც მსაჯ ქალიშვილს მანდილს ჩააბარებს.



### ჩვენი წარსულიდან

## ზურაბ საკაძე

ზურაბ საკაძე დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის შვილი იყო. ჩვენ დღემდე არ ვიცით მისი არც დაბადებისა და არც გარდაცვალების თარიღები. ანტონ ფურცელაძე, აღწერს რა ქართლის აჯანყებას, წერს: „უცებ, ერთმა სპარსთა მხედარმა გააპო გზა მეომართა შუა და მივარდა ზედ სააკაძეს, რომელიც ამ დროს ჯარს რაღაც ბრძანებას აძლევდა.

— მოკვდი, მუხანათო, ესეც მამაჩემის სისხლი! — შესძახა სპარსთა ახალგაზრდა მხედარმა და შემართა სააკაძის თავზე ხმალი".

ამ დროს სააკაძე ხდებოდა მსხვერპლი საშინელი გამბედავი მტრისა, მაგრამ იელვა უცებ ყმაწვილ სპარსთა მხედრის თავზე ქართველის ხმალმა, და მანამ იმისი ხმალი დაეშვებოდა მოურავის თავზე, თავი სპარსელთა მხედრისა გაგორდა მოურავის ფერხთა წინა.

სპარსი იყო იმამვერდი-ბეგი, შვილი სააკაძისაგან მოკლული ყარჩიხანისა; ქართველი — ზურაბი, შვილი გიორგი სააკაძისა. ზოგთა თქმით, ეს მოხდა მარტყოფს, ფეიქარ-ხანის დამარცხების დროს.

ზურაბი, მოურავის შვილი, მაშინ დაახლოებით ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. იგი მოჰყვა ზურაბ ერისთავის ჯარს და არ შორდებოდა მამას გვერდიდან.

ჩვენი აზრით, ანტ. ფურცელაძე ემყარებოდა ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც წერდა: „მოურავი შეუხდა ყარჩიხანსა და მოჰკლა და შვილმან მისმან ზურაბ — შვილი ყარჩიხანისა და მოსწყვიტნეს ყიზილბაშნი".

ჩვენ არ ვიცით, თუ რა წყაროებით სარგებლობდნენ ვახუშტი ბაგრატიონი ანდა ანტ. ფურცელაძე, მაგრამ ისტორიული წყაროების ჩვენე-

ბანი მათ მოსაზრებას მხარს არ უჭერენ.

„დიდმოურავიანში“ საერთოდ არ არის მოხსენიებული, თუ ვინ მოჰკლა ყარჩი-ხანის შვილი იმამვერდი-ბეგი — სპარსთა ჯარის ერთ-ერთი სარდალი, თორმეტთაგანი, რომელიც სპარსთა ჯარის მთავარბანაკში იყო მასთან ერთად საფურცლეში.

„დიდმოურავიანის“ ავტორი გიორგი სააკაძეს ათქმევინებს:

„ჩემი შუბისწვერს ყარჩიხან
გაწონით გულს იგმირებსა;
იმამვერდიბეგ, მისი ძე,
აეგო შუბის პირებსა“.

ფარსადან გორგიჯანიძეც მოგვითხრობს: „ცხენი მოჰგვარეს, ყარჩიხან გამოვიდა, ფეხი ავჟანში ჩაჰყო შესაჯდომად, ამაღლდა. გაუწყრა ღმერთი მოურავის, თავისის ხელით შუბი გვერდში გასჩარა და მიწას დასცა და წაუშინეს და მამაც და შვილიც მოკლეს ქართველთა და კახთა ლაშქარი ურდოში შემოესივნენ“.

მაშასადამე, არც ფარსადან გორგიჯანიძეს აქვს აღნიშნული რაიმე ზურაბ სააკაძის მიერ იმამვერდი-ბეგის მოკვლის თაობაზე. თეიმურაზ ბაგრატიონი კი წერდა: „მოურავმა მხოლოდ ოთხნი თავადის შვილები გამოარჩივა და თავისთან დაინარჩუნა. ერთი მათგანი, პაატა ხერხეულიძე და ამისი შვილი ავთანდილი, ელია დიასამიძე და მეოთხე — ვაშაყი პაპუნა: ესენი გმირნი და დიახ ჩინებულნი ვაჟკაცნი იყვნენ: მოურავს თავისი საკვირველი ვაჟი კაცი ზურაბიც თანა ჰყვანდა“. და შემდეგ: „მყის შეუხდა მოურავი ყარჩიხა სარდალს კარავში და თავისი ხელით მოკლა. მოურავის შვილმა ყარჩიხანის შვილი მოკლა“.

სამაგიეროდ, სხვა ფრიად სანდო წყაროები მოგვეპოვება ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. ეს არის მეფე-პოეტ არჩილის პოემა „გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, რომელიც ძირითადად ქართლის აჯანყებისა და მარაბდის ომის მონაწილეთა და მცოდნეთა ცნობებზეა დამყარებული. არჩილი წერს, რომ ქართლის აჯანყების მთავარბანაკში იმყოფებოდნენ თვითონ დიდი მოურავი, მისი შვილი ავთანდილ სააკაძე, პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე და პაპუნა ვაშაყაშვილი.

„მოურავი ლაშქარშიგან იყო
მათცა მუნით ირეს.
აწ უყურე მას ღომგულსა და
ოთხთ მოყმეთ ვით იგმირეს.



პაატა ხერხეულიძე, ავთანდილ
ძითა თვისითა,
ელია დიასამიძე, პაპუნა
ვაშაყისითა, —
ოთხი კაცითა ესე ქნა, რას, ვეჰვ,
იქმოდა ასითა!
ამის მქმნელს კაცსა სხვა ვინმე
ვით შეუდარო ფასითა?!“

მართლაც, საბრძოლო გეგმით, მოურავს ასე ჰქონდა გადაწყვეტილი: პირველად თვითონ მოჰკლავდა ყარჩი-ხანს, ზურაბ სააკაძე — იმამვერდი-ხანს. შემდეგ ყველანი ამოწყვეტდნენ „ათთორმეტ სარდალსა“.

მართლაც, სანამ ზურაბ ერისთავის ლაშქარი სამუხრანოსა და საფურცლეში შემოიჭრებოდა (ამ ლაშქარში ბიძის გვერდით მისი მოსახელე ზურაბ სააკაძეც იმყოფებოდა), „ქართველნი გვიან მოვიდეს, რაგინ რომ ცოცხლად ვლიდიან“. მოურავმა გადაწყვიტა, სანამ სპარსელნი გონს მოვიდოდნენ, მტრის სარდლობის ბანაკი აეკლოთ და ყველანი ამოეხოცათ. მოურავმა შუბით განგმირა მთავარსარდალი ყორჩიხა-ხანი, ზურაბმა მოჰკლა იმამვერდი-ბეგი. შემდეგ ყველამ ერთად დანარჩენი სარდლები ამოჟლიტა.

არჩილ მეფე გადმოგვცემს:

„იმის შვილსა მოურავის შვილმა
უყო საქმე ესევ.
„მამაჩემმა მამაშენი მოკლა, მე
შენ სხვას არ გისევ.
საქართველოს ამოწყვეტის
მდომნო, ბევრის ავის მთესევ“.

აქ იგულისხმება ზურაბ სააკაძე, რომელმაც მოკლა იმამვერდი-ბეგი. ბერი ეგნატაშვილი წერს: „ხოლო მოურავ დიდად სახელოვნად იყო იმ ღამეს (ე. ი. აჯანყების დროს—ვ. ს.), მივიდა მოურავი და მოკლა შუბითა ყორჩი-ხან და შვილმან მისამან, ზურაბმა, მოკლა ყორჩი-ხანის შვილი“.

აკად. კ. კეკელიძე წერს: „დიდ მოურავს, ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ჰყავდა შემდეგი ძენი: პაატა, სპარსეთში დასჯილი სიკვდილით, ავთანდილ, მამასთან ოსმალეთში ტრაგიკულად დაღუპული, ზურაბი, მარაბდის გმირი, რომელსაც 1643 წლის ახლო ხანებში როსტომ მეფემ ღალატისათვის თვალები დასთხარა, ივანე, იმავე საქმის გამო კახეთს გადახვეწილი და როსტომ მეფის მიერ ქონებამილებული (ჩამორთმეული) და იორამი, დიდი ერთგული როსტომ მეფისა, რომელმაც მას თარხნობა უბოძა“.

მაშასადამე, კ. კეკელიძეს ზურაბ სააკაძე მარაბდის გმირად მიაჩნდა.

ვახტანგ სიდამონიძე

მხატვარი კარლო ფაჩულია





# მოლაპარაკე გამოქვაბული

ელეკ ბენედეკი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

ერთ უღრან ტყეში ლომმა დაიდო ბინა. იმ დღიდან მოყოლებული საწყალ ცხოველებს მოსვენება აღარ ჰქონდათ. ლომი ყველას მუსრს ავლებდა და მალე შესაჭმელიც ლამის აღარავინ დარჩა. ცუდი დრო დაუდგა ნადირთ მეფეს. საკბილოს ვეღარ შოულობდა. ადგა და შიმშილისაგან არაქათგამოლეული ერთ გამოქვაბულში დაბინავდა. იწვა და თან ფიქრობდა. იქნებ ბედი მეწიოს და გზადაკარგულმა მჭლე მელიამ მაინც შემოდგას ფეხი გამოქვაბულშიო.

აკი აუხდა კიდეც ლომს ნატვრა. ის იყო. შესაღამოვდა. რომ შინისკენ ცუნცულით მომავალი მელია კუდიგრძელია გამოჩნდა. გამოქვაბულს რომ მიუახლოვდა, ნაკვალევი შეამჩნია და გაოცდა: ბიჭოს, სტუმარი მწვევია. მოდი ერთი, ვნახო, თუ ისევ აქ არის, ჯობია, აქაურობას გავეცალო და სხვაგან ვეძებო ბინაო.

ბევრი აღარ დაუხანებია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ჰეი, გამოქვაბულო!

მერე გაჩუმდა და რადგან არავინ გამოეპასუხა, ხმამაღლა თქვა:

— ეჰე, ეტყობა, გადაგავიწყდა ჩვენი პირობა, ძახილზე რომ უნდა მიპასუხო. კარგი, რახან არ მეპასუხები. წავალ და სხვა გამოქვაბულს მოვძებნი.

ლომმა გაიგონა მელიას ნათქვამი და გაიფიქრა: „ეტყობა, გამოქვაბული მართლა ეძახის ხოლმე მელიას. უცნაური ჩვეულებაა, მაგრამ თუ მართლა ასეა, დე, იყოს ასე, ავდგე-

# რატომ არის გაბრაზებული ღორი-ძაღლზე, ძაღლი-კატაზე და კატა კი-თაგვზე

ლასლო ორონი

ღორმა ძაღლის ტყავზე დაწერილი თავისუფლების სიგელი მიიღო. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, სულ თან დაატარებდა და არსად ტოვებდა; ერთხელაც ღორი შორეულ მხარეს უნდა გამგზავრებულიყო და არ უნდოდა სიგელის თან წაღება. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, ყველაზე ახლო მეგობრისთვის, ძაღლისთვის ჩაებარებინა იგი. ძაღლი კარგა ხანს ერთგულად დარაჯობდა



მეგობრის თავისუფლების სიგელს, მაგრამ მასაც გამოუჩნდა რაღაც გადაუდებელი საქმე, ადგა და ღორის თავისუფლების სიგელი კატას გადააბარა. ერთხანს კატაც ერთგულად დარაჯობდა სიგელს, მაგრამ მალე მოსწყინდა და თავის შექცევა, მეზობლებთან ლაპარაკი მოუნდა. მაგრამ არ იცოდა, ვისთვის დაეტოვებინა სიგელი. ბევრი იფიქრა, ბოლოს სხვენზე აიტანა და იქ ფიცრებსშუა ჩამალა.



საღამო ხანს კატა სახლში დაბრუნდა და სიგელის სანახავად სხვენზე ავიდა, მაგრამ სიგელი იქ არ დაუხვდა. აქეთ ეცა, იქით ეცა და ბოლოს ნახა, რომ თაგვებს დაეკვნიტათ და ნაფლეთებად ექციათ. ამასობაში ძაღლიც დაბრუნდა და თავისუფლების სიგელი მოიკითხა, კატამ ვეღარაფერი უთხრა, მერე კი ძაღლმა ვერ გაუსწორა თვალი შინ დაბრუნებულ ღორს.

აი, სწორედ ამ შემთხვევის მერე არ უყურებს ღორი კარგი თვალით ძაღლს, ძაღლი — კატას, კატა კი თაგვს.





# გარეული მტრედი და კაჭკაჭი

იცით, რატომ ვერ ისწავლა ბუდის კეთება გარეულმა მტრედმა და რატომ არის მუდამ უხეირო მისი ბუდე?

ერთხელ გარეულმა მტრედმა კაჭკაჭს სთხოვა, ბუდის კეთება მასწავლეო. კაჭკაჭი ამ საქმის დიდი ოს-

ზი და მე დავუძახებ გამოქვაბულის მაგივრად“.

— მოდი, მოდი! — დაუყვირა ლომმა მელიას.

— დავბერდი და ჯერ არ გამიგია, რომ გამოქვაბული ლაპარაკობდესო, — გაიფიქრა მელიამ და გაცლა ამჯობინა.



ტატი იყო, ისეთ მტკიცე ბუდეს იკეთებდა, რომ ვერც ქორი და ვერც კაკაჩა ვერაფერს აკლებდა. კაჭკაჭი სიამოვნებით დათანხმდა მტრედს და მალე საქმესაც შეუდგნენ. კაჭკაჭი თითო-თითოდ იღებდა გამხმარი ხის წვრილ შტოებს და ერთმანეთზე აწყობდა, თან გარეულ მტრედს მიუბრუნდებოდა ხოლმე, — მიყურე და შენც ასე გააკეთეო.

გარეული მტრედი კი ყოველთვის პასუხობდა, ვიცი, ვიციო.

კაჭკაჭმა ერთხანს უთმინა მტრედს, მაგრამ ბოლოს გაბრაზდა და მიუბრუნდა: — „ვიცი, ვიცის“ რომ გაიძახი, ადექი და თვითონვე გააკეთე, მე რაღად გინდივარო.

მიატოვა გაგულისებულმა კაჭკაჭმა გარეული მტრედი და გაეცალა.

გარეულმა მტრედმა კი ვერა და ვერ ისწავლა ხეირიანი ბუდის კეთება.



უნგრულიდან თარგმნა ვ. იმერლიშვილმა

## მოიბოდიშა

ცნობილმა გერმანელმა მსახიობმა უნცელმანმა ერთ ხარბსა და გაუმაძღარ ვაჭარს „ბებერი წუწურაქი“ უწოდა. იმან სასამართლოში უჩივლა.

სასამართლოს განაჩენით, მსახიობს ვაჭრისათვის მოწმეების თანდასწრებით ბოდიში უნდა მოეხადა.

ვაჭარმა ამ ცერემონიისათვის უკლებლივ მოიწვია ყველა თავისი ნაცნობი და მეგობარი, რომ ენახათ, როგორ მოუბოდიშებდა მას სახელგანთქმული მსახიობი.

მაგრამ მსახიობი ხალხით სავსე სასტუმრო დარბაზში კი არ შევიდა, ღია კარში თავი შეყო და იკითხა:

— თუ შეიძლება, მითხარით, ბატონი მაიერი აქ ცხოვრობს?

— არა, შეგეშალათ, ბატონი მაიერი ერთი სართულით მაღლაა, — მიუგო მასპინძელმა.

— მაშინ გთხოვთ, მომიტევოთ, — უთხრა მსახიობმა და გატრიალდა.

## წარუმატებელი მცდელობა

ერთმა გერმანელმა კომპოზიტორმა ფრიდრიხ შილერის ლექსზე სიმღერა დაწერა და თავის დიდ თანამემამულეს, იოჰანეს ბრამსს სთხოვა, მოესმინა. ბრამსმა მოისმინა პიესა და ფიქრიანად თქვა:

— ჩინებულია! კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შილერის ეს ლექსი ჭეშმარიტად უკვდავია.

## უსაზღვროება

ერთხელ საფრანგეთის მეფემ თავის ასტროლოგს მნათობთა შესახებ რაღაც ჰკითხა, რაზედაც ასტროლოგმა უპასუხა, არ ვიციო.

— ფულს იმიტომ გიხდი, რომ უნდა იცოდე, — უსაყვედურა მეფემ.

— თქვენ მე იმის საფასურს მიხდით, რაც ვიცი, თორემ იმის გადასახდელად, რაც არ ვიცი, მთელი სახელმწიფოს ქონება არ გეყოფოდათო, — მიუგო მან.

## ასეც ხდება

ერთმა ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა გაზეთში წაიკითხა ლექსი, რომელსაც მისი გვარი ჰქონდა მოწერილი, თუმცა მას არ ეკუთვნოდა.

იგი აღშფოთებული მიიჭრა რედაქციაში ხაჩივლელად.

— თანაც ლექსი ძალიან სუსტია, — დასძინა ბოლოს.

# გამოჩენილი ადამიანების ღიმილი

— ეგ ჩვენც ვიფიქრეთ, მაგრამ მაინც დავბეჭდეთ, რადგან თქვენი გვეგონა, — უთხრა რედაქტორმა.

## მთავარია სიზუსტე

ვარშავაში ცნობილი უნგრელი კომპოზიტორის, პიანისტის, დირიჟორის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ფერენც ლისტის ერთ-ერთი კონცერტის წინ იმპრესარიომ გამოაცხადა, დარბაზში ხუთასი სანთელი ენთებაო.

ქანდარაზე მჯდომი ერთი პროვინციელი კაცი დიდხანს გულდასმით შესცქეროდა მაესტროს, მაგრამ უფრო მეტხანს ათვალიერებდა იქაურობას. ბოლოს თავი ველარ შეიკავა, წამოდგა და აღშფოთებით წამოიძახა:

— როგორ არ გრცხვენიათ, რომ გვატყუებთ! დარბაზში მხოლოდ ოთხას ოთხმოცდათვრამეტი სანთელი ანთია და არა ხუთასი!

ლისტმა არ იცოდა, რა ხდებოდა, და კონცერტი შეწყვიტა.

სცენაზე ადმინისტრატორი გამოვიდა და ასძახა:

— ფორტეპიანოზე არ დაგითვლიათ სანთლები?

— არა, მიუგო შეცბუნებულმა პროვინციელმა და დასძინა: — მაშ, კარგი, განაგრძეთ დაკვრა, ბატონო ლისტ

## გულმავიწყი

დიდი რუსი კომპოზიტორი ალექსანდრე ბოროდინი ცოლთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა. სასაზღვრო პუნქტში პასპორტების შემოწმებისას მოხელემ ჰკითხა, ცოლს რა ჰქვიაო. ბოროდინი გულმავიწყობით გამოირჩეოდა და ახლაც ვერა და ვერ გაიხსენა ცოლის სახელი. სწორედ ამ დროს იმ ოთახში შემოვიდა ეკატერინე სერგეევნა და გახარებულმა ბოროდინმა შესძახა:

— კატია, ღვთის გულისათვის, მითხარი, რა გქვია?

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



# „მეტალიკა"

ამ პოპულარული ამერიკული ჯგუფის შემოქმედებას ახასიათებს მუსიკალური თემების ლაკონიურობა, კომპოზიციათა რიტმული სიმდიდრე, არანჟირების დინამიკა, ჯგუფის წევრებს კი — უკომპრომისო მოქალაქეობრივი პოზიცია და კატეგორიულობა.

დანიელი ყმაწვილი ლარს ულრიჰი სერიოზულად იყო გატაცებული ჩოგბურთით და სპორტულ კარიერაზე ოცნებობდა, მაგრამ როცა მისი ოჯახი ლოს-ანჯელესში გადასახლდა, ლარსი მიხვდა, რომ ამერიკელ ჩოგბურთელთა დონეს ვერასდროს მიაღწევდა, ამიტომ უმტკივნეულოდ ჩამოშორდა სპორტს და მეორე თავის გატაცებას, მუსიკას, კერძოდ კი — დასარტყამ საკრავებს მიუბრუნდა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1981 წელს, ადგილობრივ მუსიკალურ გაზეთში ლარსმა წაიკითხა განცხადება — ვინმე ჯეიმს ჰეტფილდი ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად მუსიკოსებს ეძებდა. მოკლე დროში შეხმატკბილებულ ულრიჰსა (დასარტყამი საკრავები) და ჰეტფილდს (ვოკალი) ამ უკანასკნელის მეზობელი და ამხანაგი როკ მაკგოვნიც შეუერთდა, მერე შავკანიანი გიტარისტი ლოიდ გრანტიც მიიწვიეს და ოთხეული მუშაობას შეუდგა. მაგრამ გრანტმა მხარი ვერ აუბა ჰეტფილდის რიტმულ ექსპერიმენტებს და წავიდა. იგი დეივ მასტეინმა შეცვალა. 1982 წლის ზაფხულში „მეტალიკამ" ჩაწერა თავისი პირველი კომპოზიცია — „რა არის ცხოვრება ტყავის ჯინსის გარეშე", ორი კვირის შემდეგ კი ჯგუფმა ხელი მოაწერა კონტრაქტს პირველ ფირფიტაზე. მაგრამ ახლა მაკგოვნიმაც განაცხადა, ჰეტფილდთან ველარ დავუკრავო და მაშინ ჰეტფილდი და ულრიჰი სასწრაფოდ გადაფრინდნენ სან-ფრანცისკოში, მოძებნეს ცნობილი გიტარისტი

# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
 შოთა ინწკირველი

ქართველ
ებრაელთა
მოჭადრაკენი

იოსებ კრიხელის, ჰენრიხ არნშტეინისა და გენადი ზაიჩიკის პარტიები ჩვენ ადრეც გაგაცანით. საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატის, უდროოდ დაღუპული უნიჭიერესი იოსებ კრიხელის პრაქტიკულ შემოქმედებას საზოგადოება არ იცნობს. ჩემი პირადი არქივიდან გთავაზობთ კრიხელ-ბლაღიძის პარტიის ფინალს საქართველოს 1950 წლის ჩემპიონატიდან, რომელშიც ჩემპიონის წოდება ბლაღიძემ მოიპოვა.

ბლაღიძე



კრიხელი

ამ პოზიციაში ბლაღიძე დანებდა. შექმნილი მდგომარეობა თვალნათლივ მეტყველებს, თუ რაოდენ რთული და დრამატული იყო ბრძოლა ამ პარტიაში (უკანასკნელი სვლა 82. მფf8 g2). სხვათა შორის, ეს იყო ბლაღიძის ერთადერთი წაგება ამ ჩემპიონატში.

ბავშვებო, ახლა გთავაზობთ მცირე ამონაწერს ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) წიგნიდან „დიდებული მესხეთი" (თბილისი, 1914 წელი): „საოცარი ამბავია, მაგრამ შეუვრყეველი და ჭეშმარიტი ისაა, რომ ქართული ენა დაიჩაგრა რუსების მოსვლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს... ყმაწვილები სრულებით აღარ ეტანებიან ქართულს. მიზეზი ისაა, რომ ქართულმა დაჰკარგა ფასი ხალხის თვალში რუსების მართვა-გამგებლობის დროს, აღარაა იგი ხმარებაში სკოლაში, სასამართლოში და პოლიცია-ადმინისტრაციაში. ამიტომ ქართული ენა აღარავის ეპიტნავება, ვითარცა პატივაყრილი და გამოუსადეგარი ცხოვრებაში... აქაური ებრაელები მტკიცედ ინახავენ ქართულ ენას. იგია მათი სამშობლო, ღვიძლი ენა და ამ ენაზე აქვთ მიწერ-მოწერა. უხსოვარი დროიდან დაბინავებულან ებრაელები ახალციხეს, ქართული იერი, ზნე და ჩვეულება შეუთვისებიათ და აღარ ღალატობენ არც ერთსა და არც მეორეს, თუმცა ორას წლამდე მეტს ქართველებთან ერთად ოსმალების ბატონობას იტანდნენ. სწორედ საკვირველია მათი ასეთი სიმტკიცე. ქართული ენის შენახვა-პატრონობაში მესხეთის ებრაელობას დიდი ღვაწლი მიუძღვის და ასეთი მისი სამსახური არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს. დღევანდელ ახალციხეს თუ კიდევ ქართული იერი ცოტათი მაინც შემორჩენილი აქვს, ეს ებრაელების წყალობაა. ხარბად ეტანებიან ახალციხის ქართულ საქალაქო სკოლას".

ქართული ენის, ქართული კულტურისა (ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები, ქართული

# თანამედროვე რიტმები

კლიფ ბერტონი, რომელიც საშუალო დონის ჯგუფთან ქალაქის ერთ პატარა კლუბში გამოდიოდა. გარდა იმისა, რომ ბერტონი დიდი გამოცდილების პროფესიონალი იყო, მან ლიტერატურაც შესანიშნავად იცოდა, ლექსებსაც წერდა, ბრწყინვალედ უკრავდა როიალზე და კარგად იცოდა მუსიკის თეორია.

ბერტონმა მოკლე დროში ჩაუყარა საფუძველი მომავალ მუშაობას, ჯგუფი შეიკრა, საქმე აეწყო და 1983 წლის მარტიდან „მეტალიკა“ ალბომის მომზადებას შეუდგა. დღეში 20 საათს მუშაობდნენ. ბევრი რამ შეიცვალა ბერტონის წყალობით მუსიკის თეორიას ნაზიარები ახალგაზრდების შემოქმედებაში, სხვა იყო კრიტერიუმები, მოთხოვნილებები საკუთარი თავისა და ერთმანეთის მიმართ. ახლა ჯგუფის წევრები მასალასაც მეტი მომთხოვნელობით ეკიდებოდნენ. სწორედ ამ პროცესში გამოირკვა, რომ თუმცა დეივ მასტეინი ძალიან კარგი გიტარისტი იყო, მაგრამ მერე და მერე ველარ აჰყვებოდა ჯგუფს. მასტეინის ნაცვლად „მეტალიკაში“ ვირტუოზი გიტარისტი კირკ ჰემეტი მოვიდა.

გამოვიდა ჯგუფის პირველი ალბომი „ყველანი დახოცე“, რომელსაც, უნდა ითქვას, მაინცდამაინც დიდი წარმატება არ მოუტანია მუსიკოსებისათვის. პირველს მეორე ალბომი მოჰყვა (1984 წ.) — „გახედნე ელვა“, რომელიც ძალზე საინტერესო გამოდგა თავისი ემოციურობითაც, მუსიკალურობითაც, სიღრმისეული ძიება-მიგნებებითაც. წინა პლანზე ტექსტი იყო წამოწეული.

„მეტალიკამ“ საბოლოოდ გამოიმუშავა საკუთარი შემოქმედებითი ხელწერა და სერიოზულ, კაცობრიობისათვის საჭირბოროტო თემებს მოჰკიდა ხელი. ესენია: ნარკომანია, ომი, სიკვდილით დასჯა, ძალადობა, სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა...

1986 წელს ჯგუფი სკანდინავიაში გაემგზავრა საგასტროლოდ და აქ, როცა ავტობუსი სტოკჰოლმიდან კოპენჰაგენში მიდიოდა, მოსახვევში მძღოლმა საჭე ველარ დამოირჩილა და ავტობუსი გადაბრუნდა. დაიღუპა ერთადერთი კაცი — 24 წლის კლიფ ბერტონი. ეს დიდი დანაკლისი იყო „მეტალიკისათვის“. რაღას იზამდნენ. მცირე ხნის შემდეგ კონკურსი გამოაცხადეს, უამრავი მსურველიდან საუკეთესო გიტარისტი ჯესონ ნიუსტედი (ბასი) შეარჩიეს და მუშაობა განაგრძეს.

„მეტალიკის“ ბოლო ნამუშევარია ორმაგი ალბომი „...და სამართლიანობა ყველასათვის“.

---

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ქართული თეატრები და სხვ) და, საერთოდ, საქართველოს ერთგულნი დარჩნენ ებრაელები ისრაელშიც ეფრაიმ გურიმ (გურიელაშვილმა) ჩვენთან სტუმრობისას თქვა, რომ ისრაელში დამკვიდრებულია „საქართველოს დღე“.

დიდია ებრაელი ერის („ღმერთის რჩეულთა“) როლი თანამედროვე ცივილიზებული ერების მეცნიერებისა და ხელოვნების წინსვლის გზაზე. ებრაელებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს საჭადრაკო ხელოვნების განვითარებაში.

პირველი მსოფლიო ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი (1836-1900) ებრაელი იყო. „სტეინიცი უდიდესი თეორეტიკოსია მსოფლიოში ოდესმე მცხოვრებ ყველა მოჭადრაკეს შორის. ეს იმიტომ, რომ მან პირველმა მისცა ჭადრაკის თამაშს მეცნიერული ხასიათი და ჭადრაკის თეორიას ჩაუყარა მტკიცე ლოგიკური საფუძველი“ (მაქს ეივე).

## „მეტოქეს მისივე იარაღით უნდა დაჭკრა!

მეტოქის წინააღმდეგ მისივე საყვარელი დებიუტის გამოყენებას, ცხადია, აქვს თავისი ფსიქოლოგიური გამართლება — აიძულო იგი, იბრძოლოს თავისი საყვარელი სისტემის წინააღმდეგ. შემდეგი სასწავლო პარტია (ებრალიძე-ქარსელაძე), რომელიც გათამაშდა ორმოცი წლის წინათ (პარტია არცთუ სრულად შეესატყვისება არჩილ ებრალიძის დახვეწილ, კლასიკურ სტილს), კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მთავარია, თავად როგორ ერკვევი ჭადრაკში, კერძოდ — არჩეულ სისტემაში. ერთი სიტყვით, უპირველესად ანგარიში უნდა გაუწიო შენს ცოდნასა და შესაძლებლობას. ტურის დასაწყისში ერთ-ერთმა მონაწილემ ვახტანგ ქარსელაძეს უთხრა: „რატომ აირჩიე ეს სისტემა, ხომ იცი — შლეხტერის დაცვას შავებით ებრალიძე თავად თამაშობს და კარგად აქვს შესწავლილი?“ მან უპასუხა: „მეტოქეს მისივე იარაღით უნდა დაჭკრა!“

ებრალიძე — ქარსელაძე. შლეხტერის დაცვა. 1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. მf3 c6 5. g3 d5 6. კg2 მbd7 7. cd cd 8. კg5 e6. 9. 0—0 h6 10. კf4 ლb6 11. მa4 ლa6 12. მe5 0—0 13. ეc1 b6 14. მd3 მe8 15. მb4 ლb7 16. მc3 მdf6 17. ლb3 ლd7 18. მd3 კb7 19. მe5 ლe7 20. მb5 g5 21. კd2 a5 22. მc3 ლd6 23. მb5 ლd8 24. ეc2 მe4 25. კe3 f5 26. f4 g4 27. ეfc1 მ4d6 28. მc7 მ:c7 29. ე:c7 b5 30. ეd7 ლb8 31. ე1c7 კh8. ფრიად იშვიათია მიტელშპელში ორი ეტლით ბოლოსწინა ჰორიზონტალზე შეჭრა, ეტლები კიდით-კიდემდე ფლობენ მას. ცენტრში დომინირებს თეთრი მხედარი, მაგრამ თეთრების სხვა ფიგურები მათ მხარს ვერ უჭერენ. ახლა თეთრები გადამწყვეტ დარტყმას აყენებენ შავებს მის ყველაზე კარგად დაცულ d5 პუნქტში. ამ ტაქტიკური ოპერაციის შედეგად შეტევაში ებმება თეთრების ყველა ფიგურა (ეს ხომ იდეალურია!) და იკვეთება შავების დასუსტებული პოზიცია, კერძოდ — შავი მეფე) 32. ე:b7! მ:b7 33. კ:d5! კ:e5 34. fe „რადგან აბსოლუტურად უიმედო მდგომარეობაში ქარსელაძე არ დანებდა, მე უარი ვთქვი ელემენტარულ 34. ე:b7-ზე და ჩავიფიქრე პიკანტური ფინალი“ (ებრალიძე) 34... ეa7 35. კ:e6 მფh8 36. კ:h6 ეc8 37. კg8! (ხაზის განთავისუფლების იდეა — 37... ე:g8 38. ლf7) 37... მc5 „ქარსელაძემ მოიგერია 38. ეh7× და იმუქრება ეტლის მოგებით. ცხადია, რომ 38. კg7×-ს ვერ ხედავს და კატა-თაგვობანა გავითამაშე“ (ებრალიძე). 38. ლf7 ე:d7 39. კg7×.



### პირველი ლიფტი

პირველი ლიფტი 1748 წელს დაამონტაჟეს საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-სათვის. ლიფტის კაბინა შენობის გარეთ მოძრაობდა, საპირწონე კი — საკვამლეში. ლიფტი მოძრაობდა მკვიდრი ბაგირისა და მსახურების მძლავრი ხელების მეშვეობით.

### ნუ გუზღუნებთ

„იყავით მხიარულნი, ბედნიერნი, ნუ სწუხხართ და ნუ ნერვიულობთ!“ — ნამდვილად კარგი რჩევაა, მაგრამ ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში როგორ შევასრულოთ ეს დარიგებანი? ამერიკელი ექიმი რედფორ უილიამსი 25 წლის განმავლობაში თავს იმტვრევდა სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებზე.



მუდმივი ახალგაზრდობის საიდუმლოებას მან ვერ მიაგნო, მაგრამ დაადგინა, რომ ბუზღუნა, ფიცხსა და ყველაფრით უკმაყოფილო ადამიანებს ხუთჯერ მეტი „შანსი“ აქვთ, ვერ მიაღწიონ 50 წლის ასაკს, ვიდრე მხიარულებს. უილიამსის დაკვირვებით ადამიანის დაღუპვის ყველაზე ხშირი მიზეზებია ჰიპერტონია და გულის უკმარობა. ასე რომ, ხშირად გაიღიმეთ!

### სპორტი საუკუნეთა სიღრმიდან

უცნაურია, რომ გრენლანდიაში მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გაიგეს თხილამურების არსებობა. თუმცა ეს შეიძლება გასაგებიც იყოს: გრენლანდიაში ხომ ტყეები არ არის,



ხის მასალა აქ ძალზე ძვირად ფასობს და „გასართობად“ ვერ იმეტებდნენ.

გრენლანდია არც ისე შორს მდებარეობს სკანდინავიიდან, სადაც თხილამურები ადამიანის მეგზურია საუკუნეების განმავლობაში. ყველაზე ძველი თხილამურები (4,5 ათასი წლისა) შვეციის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება.

### ისუნთქეთ... ლიმონით!

არსებობს შრომის ნაყოფიერების ამაღლების მრავალი ხერხი. ამჟამად მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება კომპიუტერებთან მომუშავე ადამიანებისკენაა მიმართული. მხედველობის დაძაბულობა, ინტენსიური გონებრივი შემოქმედება და მჯდომარე მდგომარეობა სწრაფად აძაბუნებს ნერვულ სისტემას. გამოირკვა, რომ შრომის რეჟიმის დაცვის, რეგულარული და მაღალხარისხოვანი კვების, მოხერხებული სავარძლისა და ფიზიკური ვარჯიშების გარდა კიდევ რაღაც უნდა იყოს საჭირო.

იაპონელმა ფსიქოლოგებმა სამუშაო ოთახების არომატული ნივთიერებებით გაჟღენთა სცადეს. ვენტილაციის მეშვეობით ოთახში შემოღწეული ლიმონისა ან ევკალიპტის სურნელება აუმჯობესებს შრომისუნარიანობას და ამცირებს გადაღლით გამოწვეულ თვლემას. აღმოჩნდა, რომ ლავანდის სურნელებით გაჯერებულ ოთახში კლავიატურაზე მუშაობისას შეცდომების რაოდენობა 20%-ით კლებულობს. ჟასმინის არომატი უფრო სასარგებლო აღმოჩნდა — შეცდომებმა დაიკლო 33%-ით, მაგრამ ჩემპიონობა ჩვეულებრივმა ლიმონმა მოიპოვა. მან შეცდომები 50%-ით შეამცირა.

### უთვალავი ფრთა

რამდენი ფრთა შეიძლება ჰქონდეს თვითმფრინავს? — ოთხი (თუ ავიაციის ისტორიას გავიხსენებთ). მხოლოდ თვითმფრინავთმშენებლობის მცოდნეებმა იციან, რომ თავის დროზე არსებობდნენ აეროპლანები, რომლებსაც მეტი ფრთა ჰქონდათ. რეკორდი დაამყარა ინგლისელი ინჟინრის ფილიპსის შექმნილმა თვითმფრინავმა, რომელსაც 196 (!) ფრთა ჰქონდა. თუმცა იმედები მან ვერ გაამართლა — აფრენიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ იგი მიწას დაენარცხა. როგორც ჩანს, რაოდენობა ყოველთვის ვერ გადადის ხარისხში.

### თევზაობა ზარმაცებისათვის

კანადის აღმოსავლეთი სანაპიროების მეთევზეები თევზჭერის საკმაოდ მარტივ ხერხს მიმართავენ: ზღვის მოქცევისას ისინი გაშიშვლებულ ფსკერზე ბადეგაბმულ ჭოკებს არჭობენ. როცა წყლის დონე მატულობს, ბადეები წყლით იფარება და თევზი მათში ხვდება.

### ალექსანდრე ბუსლაევი

(დაბადების 60 წლისთავი)

51 წლისა წავიდა ჩვენგან ეს ნიჭიერი და ერუდირებული ოსტატი. ჯერ კიდევ 1942 წელს ცამეტი წლის საშა თავის ტოლ ნორჩ გენიოსთან — უკვე საკმაოდ გამოცდილ, ტიგრან პეტროსიანთან ერთად მცოდნე და ძლიერი პირველთანრიგოსანია. ამ დროისათვის ისინი პიონერთა სასახლეში საჭადრაკო ხელოვნებას ეუფლებიან ისეთი დიდი კულტურის მქონე ოსტატთან, როგორიც იყო არჩილ ებრალიძე. შემდგომში, უკვე მსოფლიო ჩემპიონი, ტიგრან პეტროსიანი დაწერს: თუ არა არჩილ ებრალიძე, რიგით ოსტატზე შორს ვერ წავიდოდიო.

ამოსახსნელად გთავაზობთ დაბოლოებას, რომელიც გათამაშდა 1945 წელს ოსტატ ნიკოლოზ სოროკინთან.

სოროკინი



ბუსლაევი

სვლა თეთრებისაა. ველით თქვენს პასუხს.



# სიახლენი

## რას მიირთმევენ მიკრობები

ერთმა ამერიკელმა ბიოქიმიკოსმა, ილინოისის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, აღმოაჩინა ბაქტერიები, რომლებიც ნავთობით იკვებებიან. ახლა გენური ინჟინერიის დახმარებით ის ცდილობს შექმნას მიკრობები, რომლებიც საკვებად გამოიყენებენ შერბიციდებს. რისთვის არის ეს საჭირო? იმისათვის, რომ მათი მეშვეობით მოხერხდეს ნიადაგის გაწმენდა შხამებისაგან.

## ჟანგბადი სარტყელზე

ერთი შვეიცარიული ფირმა აწარმოებს მინიატურულ ჟანგბადის ნილბებს, რომელთაც „ოქსიფიტი" ეწოდება. მათი წონა სულ 500 გრამია (ჟანგბადის ბალონთან ერთად). ისინი ერთჯერადი დანიშნულებისაა და შეიცავენ გაზს, რომლითაც შეიძლება 10 წუთის განმავლობაში ისუნთქო, მაგალითად, მაშველი სამუშაოებისას, დიდ სიმაღლეზე და სხვა შემთხვევაში.

## ფიზკულტურა მავნებელია

მექსიკის მთავრობა აფრთხილებს დედაქალაქის მცხოვრებლებს, რომ ფიზიკური ვარჯიში მავნებელია მათი ჯანმრთელობისათვის და ეს, მართლაც, არ არის ხუმრობა: დედაქალაქის თავზე მუდამაა ჩამოწოლილი სმოგი, რომელიც იწვევს გახშირებულ სუნთქვას, რამაც შეიძლება დაარღვიოს ფილტვების მუშაობა, ნერვული სისტემა და ტვინისთვის სისხლის მიწოდება.

„ჯანმრთელობისათვის მორბენლებს" ექიმები ურჩევენ, უარი თქვან დილის გარბენებზე და ივარჯიშონ მჭიდროდ ფანჯრებდახურულ ოთახში. ექიმები ამტკიცებენ, რომ მეხიკოს ქუჩებში ერთი დღით ყოფნა იგივეა, რაც დღეში 40 ღერი სიგარეტის მოწევა. ერთი სიტყვით, მექსიკის მრავალმილიონიანი დედაქალაქის მცხოვრებლები იტანჯებიან დედამიწაზე ყველაზე უფრო ძლიერ დაბინძურებული ჰაერისაგან.

## უტყვიო ბენზინი

დასავლეთ ევროპაში ამჟამად უკვე 72 ათასი ავტოგასამართი სადგურია, რომლებიც უტყვიო ბენზინს ყიდიან. შარშან მათი რიცხვი 20 ათასით გაიზარდა. განსაკუთრებით წარმატებით მოაწყო „ეკოლოგიური" ბენზინით მანქანების მომარაგების საქმე ექვსმა ქვეყანამ — ავსტრიამ, გფრ-მ, დანიამ, შვეიცარიამ, შვეციამ, ჰოლანდიამ.

## ნახევარწუთიანი ანალიზი

ინგლისში შექმნეს მინიატურული ხელსაწყო, რომელიც ადგენს სისხლში შაქრის რაოდენობას. ხელსაწყოს მგრძნობიარე გადამწოდზე (თეთრი ღერო მარცხნივ) აწვეთებენ სისხლის წვეთს და 30 წამის შემდეგ ინდიკატორზე ჩნდება ციფრი — შაქრის რაოდენობა მილიგრამებში სისხლის ყოველ ას მილიმეტრზე.

## ყველაზე პატარა კომპიუტერი

ამერიკულმა ფირმა „ატარიმ" გასულ წელს პარიზის გამოფენაზე წარმოადგინა ციცქნა პერსონალური კომპიუტერი. იგი შეიძლება მიუერთდეს „იბმ" ფირმის კომპიუტერს, ესე იგი, შეუძლია გამოიყენოს მისთვის დამუშავებული პროგრამები. ამ ციცქნა კომპიუტერის წონა სულ 450 გრამია.

● შესაძლებელი რომ იყოს ჩაის კოვზის ავსება მხოლოდ თავისუფალი ნეიტრონებით, იგი 214 მილიონ ტონას აიწონიდა.

● ერთი ტონა ფოლადის გამოდნობაზე 270 ტონა წყალი იხარჯება.

● მთვარის მოძრაობის განტოლებაში 700 წევრია. როცა ეილერმა დაწერა წიგნი, რომელშიაც ეს განტოლებაა მოტანილი, იგი აბსოლუტურად ბრმა იყო.

● საპონი პირველად ბაბილონელებმა გამოიგონეს, და ეს მოხდა 5 ათასი წლის წინათ.

● ყველაზე დიდი მარგალიტებიანი ნიჟა-



რა იაპონიაში, კუნძულ ხონსიუს ნაპირებთან იპოვნეს. მასში 250 მარგალიტი იყო.

● ინგლისში მდინარე თემზის შლამში მეცნიერებმა აღმოაჩინეს რომაული ხომალდის კორპუსი, რომლის ასაკიც ორი ათასი წელია.

● წყალი რომ აბსოლუტურად უკუმშველი იყოს, მსოფლიო ოკეანის დონე საშუალოდ 25 მეტრით აიწევდა და წყალქვეშ მოექცეოდა 5 მლნ კვ. კმ ხმელეთი.

● ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დღემდე ჯერ კიდევ არ ჩაუვლია მილიონ დღეს. მილიონი რომ შესრულდეს, კიდევ რვაასმა წელმა უნდა გაიაროს.

● ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი წლის პირველი იანვარი შაბათი იყო.

● ელვაში გამავალი დენის ძაბვა საშუალოდ 100 მლნ ვოლტს აღწევს.

● ჩვენამდე მოღწეული ქაღალდის უძველესი ნიმუში ჩვენი წელთაღრიცხვის 105-ე საუკუნისაა.









გივი კეჭრიაშვილი



● თუ ხშირი ხმარებით წიგნის გვერდები — ანუ ფურცლების კიდეები — გაისვარა, წიგნი მაგიდაზე დადე ისე, რომ ოდნავ გადმოსცდეს მაგიდის ძგიდეს, და ფურცლის კიდეები წმინდა ზუმბარით გახეხე.



● დედა კმაყოფილი დაგრჩება, თუ ჭურჭლის სარეცხ ღრუბელს ქსოვილის ნაჭერს დაადებ და 1,5-2 სმ დაშორებით ნემსითა და ძაფით დააკერებ... დაალიანდაგებ. ღრუბელი დიასახლისის ჩვეულებრივთან შედარებით გაცილებით უფრო დიდხანს მოემსახურება.




● თუ ცვილისებური საღარის მიღება გინდა, ზედაპირს წყალში გახსნილი წებო პვა გადაუსვი. სასურველი ფერის მისაღებად შეგიძლია წყალს აკვარელი შეურიო.



● თუ ოჯახში ჩვილი ბავშვი გყავთ, შეგიძლია მის დედიკოს ასეთი რამ ურჩიო: ბალახის ნაყენში ჩვილის ბანაობისას გამოიყენოს მეთოდი „აბაზანა-აბაზანაში“ — აბაზანა თბილი წყლით გაავსოს, ზედაპირზე პოლიეთილენის აფსკი დააფაროს, კიდეები დაუმაგროს და სამკურნალო ნაყენი აფსკზე დაასხას. ასე მოსახერხებელიცაა და ნაყენიც ცოტა დაიხარჯება.



● როცა მარტო ხარ, უთუოდ გაგიძნელდება კარის ჩამოკიდება. საკმარისია, ქვედა ღერო 2-3 მმ-ით დაამოკლო (ბეწვახერხით გადახერხე) და საქმეს მარტოკაც გაართმევ თავს.



● თუ მტვერსასრუტის პლასტიკატის შლანგს მის ყველაზე სუსტ ადგილას — იქ, სადაც იგი ბუნიკს უერთდება, ველოსიპედის კამერის ნაჭერს ჩამოაცვამ, შლანგი დიდხანს მოგემსახურება.



# სარჩევი


ნ. აფხაზავა — ძახილი წარსულიდან (ლექსი) . გარეკ. 2
პროფესიონალიზმი — უპირველეს ყოვლისა (წერილი) . 1
მ. გელაშვილი — მწვანე სიცოცხლის ფერია (ნარკვევი) . 3
გ. მეტრეველი — ლექსები . . . . . . . . . 5
დ. ლობჟანიძე — გასროლა ნაკრძალში (მოთხრობა) . . 6
ა. გურგენიძე—50 — ლექსები . . . . . . . 11
რ. წიქვაძე — რა არის ბიბლია (წერილი) . . . . 12
გ. ჯანდიერი — ცუგა (მოთხრობა) . . . . . . 14
ბ. გეგეჭკორი — აკაკის ცხოვრება (წერილი) . . . 16
ზ. სარჯველაძე — საწერი ხელსაწყოები (წერილი) . . 18
ნ. გეზარაშვილი — გალობა (მოთხრობა) . . . . . 20
ა ი ს ი . . . . . . . . . . 21
გ. გარჯაძე — ქართული ცხენოსნური თამაშები (წერილი) . 22
ა. აბულაშვილი — კვლავ ძველებურად (ლექსი) . . . 24
ვ. სიდამონიძე — ზურაბ სააკაძე (წერილი) . . . 24
ე. ბენედექი — მოლაპარაკე გამოქვაბული (ზღაპარი) . . 26
ლ. ორონი — ორი ზღაპარი . . . . . . . 26
გამოჩენილ ადამიანთა ღიმილი . . . . . . 27
„მეტალიკა“ (წერილი) . . . . . . . . . 28
მ ხ ე დ რ ი ო ნ ი . . . . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე, საინტერესო სიახლენი, თურმე . . 30-31
გამოგადგება . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლ გვერდზე — ნახატი ელისო ცაგაძისა
გარეკანის მე-4 გვერდზე — არსენ ჩარკვიანის სლაიდი


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია



სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ.მგ. მდივნის — 93-97-08, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27.03.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.05.90 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 758. ტირაჟი 117000 ეგზ., უე 07985.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.


© „ნაკადული“, 1990 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 4. ესპანეთის ქალაქი, სადაც 1982 წელს ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში; 6. ჩოგბურთის თამაშის პარტია; 8. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 10. კრივი; 11. თასი, რომელიც მიეკუთვნა ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებს სამჯერ მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის; 13. სპორტის სახეობა; 17. ქულა ჭიდაობა ძიუდოში; 19. იაპონური შაში; 20. ლორდის მეუღლე დიდ ბრიტანეთში; 21. საფრანგეთის ფეხბურთელთა კლუბი; 23. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი; 24. სპორტული სირბილი დაბრკოლებების გადალახვით; 25. იატაკზე დასაფენი ქილოფი, რომელზედაც იმართება ჭიდაობა ძიუდო; 27. მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელი; 28. სპორტული თამაში ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შვეულად: 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ფეხბურთის „მეფე“; 3. ბურთის გადაცემა საკუთარი გუნდის მოთამაშისათვის; 5. პორტუგალიის ფეხბურთელთა კლუბი; 7. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 8. სპორტსმენთა ჯგუფი; 9. იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი; 10. დრეკადი მასალისაგან გაკეთებული სათამაშო საგანი; 12. სპორტული ცურვის ყველაზე სწრაფი ხერხი; 14. არგენტინის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა; 15. ტიტანი ბერძნულ მითოლოგიაში; 16. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი; 18. ბურთის შეგდება კარში; 22. სიგნალი, რომელიც გვაუწყებს, რომ მატჩის დამთავრებამდე დარჩა 5 წუთი; 24. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 26. ცნობილი ამერიკელი მოკრივე.

შეადგინა
ალექსანდრე გორგიშელმა




## თავსატეხი



ჩაწერეთ
თარაზულ
უჯრედებში
ქართული
ხუროთმოძღვრების
ძეგლთა
სახელები
ისე,
რომ
ფერად
სვეტში
მიიღოთ
„სვეტიცხოველი“.

შეადგინა ეკა გურდულმა,
თბილისი, 24-ე საშუალო
სოლა, 1 კლასი.

**შეცდომის გასწორება**

ჟურნალ „ნაკადულის“ მეოთხე ნომერში, გარეკანის მეოთხე გვერდზე, სამდივნოს მიზეზით გაიპარა შეცდომა: ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ნაცვლად დაიბეჭდა გრემის სლაიდი.

რედაქცია ბოდიშს უხდის ჟურნალის მკითხველებს.

## გამოცანები

●

ვერ გიქებ გამკრიახობას,
ვერ გამოიცნობ თუკი:
ბოსტანში ბურთი აგდია,
თავზე აბია თოკი.

●

მინდორში ლაღად ვცხოვრობდი,
არც სესხი მქონდა, არც ვალი,
წერწეტა ვიყავ, მაღალი,
თავში მეყარა მარცვალი.
მერე დამკრეს და შემკოჭეს,
არ შემრჩა სისხლის ნასახიც,
გამომატარეს ბაზარი
და შენს ბინაში დავსახლდი.

●

ყური დამიგდე, ახალი
გამოცანა მსურს ვთქვა:
ზურგზე ჰკიდია საპალნე,
შუბლზე აბია რქა,
არც ცხენია და არც ხარი,
რა უნდა იყოს სხვა?

ნ. მარიხია



●

რის ნახვაც შეიძლება
დახუჭული თვალებით,
თვითონ უნდა გაიხსენო,
მე ვერ დაგეხმარები.

●

ცხვირზე შესკუპებული
მოელვარე მინა
მუდამ ცალკე იბუდებს,
როცა პატრონს სძინავს.

●

წყლის მობინადრე ათფეხა
ცხოველის სახელს ველი,
ქილვაშუში რომ გაზრდია
ფეხებზე უფრო გრძელი.

●

ზაფხულში ნაცრისფერია,
ხოლო ზამთარში — თეთრის
რა ცხოველია ნეტავი,
გამიხსენე ერთი?

შ. ამირანაშვილი

**პასუხები № 4-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“**

**კროსვორდი**
**პასუხები**

შვეულად: 1. რკო; 2. ელჩი; 3. ეშვი; 4. ქვა; 7. ავაზა; 8. რიონი; 9. ვაშლი; 13. მალარია; 14. ყვარელი; 16. ბომბი; 17. ინდრა; 21. ვარდი; 22. სირია; 23. ურანი; 29. იორი; 30. დანა; 32. უთო; 33. ერა.

თარაზულად: 5. სკოლა; 6. ფშავი; 10. ევა; 11. სიცილია; 12. რაე; 15. აზია; 16. ბანკი; 18. ვალი; 19. რაზმი; 20. ოდერი; 24. თარი; 25. ისიდა; 26. ლარი; 27. ოდა; 28. სიმინდი; 31. ენა; 34. ეთერი; 35. ენდრო.

**შარადები**
ფრე-სკა, ფრესკა
მური, ჟანგი, მურჟანი

**გამოცანები**
ქარი; შინდი; რწყილი; სახელი; მეტროპოლიტენი; ოგოგა; შალაშინი; ხოჭო; ვიოლინო.

Ն 35/75
ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ბაგრატის ტაძარი

როცა ტკბილ-მწარე ფიქრებით
გულს მომეძლება ხანძარი,
ქუთაისს უნდა ვეწვიო, —
ვნახო ბაგრატის ტაძარი.

ოდესღაც აქაც სწირავდნენ
გენათელი და ხანძთელი...
დღეს აქ დუმილი სუფევს და
არსად ციმციმებს სანთელიც...

ეჰ, რა გზა გამოგივლია
ხან მშვიდობით და ხან ომით!
სავსეა ჩვენი წარსული
დაცემითა და აღდგომით.

ბედი ხან ულვთოდ გვქელავდა,
ხან უცებ აგვალექსებდა.
წინაპრის ძვლები მიწაში
გადგმულა მუხის ფესვებად.

და რაც დღეს ხდება, ამაზე
მეტად რით გავიხარებდი —
ისევ გუგუნებს ქართული
ეკლესიების ზარები!

ჩემო-წინაპრის ნათელო,
სულმოუთქმელად მოგელი —
კვლავ მასმენინე ბაგრატში
ქართული საგალობელი!

ნ. მარიხია

არსენ ჩარკვიანის სლაიდი